აგვისტო 20-21
1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 143-144 (436-437)
ფასი 40 თეთრი

საქართველოს ... ბიბლიოთეკა




## ვაჟა ლორთქიფანიძე და ბორის პასტუხოვი აფხაზეთს ეწვევიან

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი, უახლოეს დღეებში აფხაზეთს ეწვევიან, მოინახულებენ გალის რაიონს, შეხვდებიან ლტოლვილებსა და აფხაზური მხარის წარმომადგენლებს, აგრეთვე, რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას.

ამ ვიზიტის მთავარი მიზანია კონკრეტულად განისაზღვროს რუსეთის სამშვიდობო ძალების უფლებამოსილებანი და მის ხელმძღვანელობას გააცნონ გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე ლტოლვილთა დაცვის თვალსაზრისით მათი ახალი ფუნქციები.

იბერია

## თვითმფრინავი დაიმსხვრა. მფრინავი გადარჩა

17 აგვისტოს, დაბა ალექსეევკას სამხედრო აეროდრომზე, რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით გამართული საჩვენებელი ფრენისას, რომელზეც ქართველი მფრინავებიც იყვნენ მიწვეულნი, ფრენის ტექნიკური პარამეტრების დარღვევის გამო, მიწას დაენარცხა და ხანძარი გაუჩნდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ ЯК-45 ტიპის სპორტულ თვითმფრინავს. მფრინავმა სერიოზული დამწვრობა მიიღო. იგი სამხედრო ჰოსპიტალში იმყოფება.

იპრინდა

ჩეჩნეთი

## ფეხშიშველი, ტანთგახდილი, მოტყუებული

ფრონტისპირა ვლადიკავკაზი ამ დღეებში დიდ ლაზარეთს მოგაგონებთ. როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულებები ლომის წილ ძალასა და საშუალებებს ხარჯავენ ჩეჩნეთიდან ჩამოყვანილი დაჭრილების სამკურნალოდ. ადგილობრივი ჰოსპიტალი მსხვილ შუალედურ სატრანზიტო ბაზასავით მუშაობს: გაკერეს, შეუხვიეს და — ჰაიდა.

იხილეთ მე—6 გვერდი

კახა თარგამაძე:

## «ვინც პოლიციას შეებრძოლება, აუცილებლად დამარცხდება!»

ბოლო ხანს საზოგადოების და საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა ორი სამართალდამცავი უწყების — შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას შორის მწვავე დაპირისპირება. თუ აქამდე ამ უწყებებს შორის არსებული უთანხმოება მხოლოდ „ვიწრო წრეში“ განსჯის საგანი იყო, დღეს მათ შორის „ორთაბრძოლამ“ ფართო სამსჯავროზე გადმოინაცვლა და საზოგადოება უპრეცედენტო ფაქტის წინაშე დააყენა: კანონდარღვევათა აღმკვეთი უწყებები ერთმანეთში „არჩევენ საქმეს“ და ამხელენ ერთურთს სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო თუ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში. მას შემდეგ, რაც პროკურატურის განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი მოჰყვა, რომლითაც შსს-მ მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება უარყო და თავად პროკურატურა დაადანაშაულა, რბილად რომ ვთქვათ, უკანონობასა და საქმისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში, პროკურატურამ პრესცენტრის მეშვეობით „პასუხის პასუხად“ რამდენიმე მძიმე ბრალდება წაუყენა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

კონკრეტულად: „შსს-ს მე-6 ხართულზე ხდება საშინელებები. ყოველი პირი, რომელიც იქიდან გამოდის, არის ნაცემი. ამ სართულზე სპეციალურად საცემად აჰყავთ. იმას, რაც დღეს შსს-ში ხდება, შეიძლება, ცემა-ტყეპის დაავადება ვუწოდოთ; შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ დაიბარა ჟურნალისტები, რომლებმაც ნამდვილი ფაქტის შესახებ აუწყეს საზოგადოებას და ტყავი გააძრო მათ, როგორ გაბედეთ ამის დაწერაო“.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი კახა თარგამაძე ბრალდებებზე რეაგირებას ამჯერად უკვე აღარ აპირებდა, პროკურატურის პრესცენტრის უფროსის ნათქვამის კომენტარზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

— როცა საინფორმაციო საშუალებებით პროკურატურის განცხადება გავრცელდა, მე ეს სტრუქტურის ოფიციალურ განცხადებად მივიჩნიე და შსს-ს არ ჰქონდა უფლება, რომ მასზე რეაგირება არ მოეხდინა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდება რეალურად და რაში გვდებს ბრალს პროკურატურა. თუმცა, შემდეგ რევაზ ყიფიანმა შესწორება შეიტანა, რომ ეს არ იყო პროკურატურის მთელი კოლექტივის მოსაზრება და, როგორც გაირკვა, ცალკეულმა პირებმა ეს განცხადება მთელ პროკურატურას მიაწერეს.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული პროკურატურის პრესცენტრის ინფორმაცია სრული სიცრუეა. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, თემურ კვირკველიამ რატომ მაინცდამაინც მე-6 სართული აირჩია, როცა ამბობს, იქ ხალხს ცემა-ტყეპით კლავენო. სამინისტროს შენობაში ყველა სართულზე საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურებია განთავსებული. მას ახეთივე „წარმატებით“ შეეძლო, იგივე განეცხადებინა მე-4, მე-5, მე-7 სართულებზეც. მაგრამ ის, რომ მე-6 სართული ირჩია, ეს, ალბათ, მისი ფანტაზიის ნაყოფია.

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, თემურ კვირკველიას პროფესიული ურთიერთობა სამართალდამცავებთან არასდროს ჰქონია, გარდა იმისა, რომ იგი ცოტა ხნის განმავლობაში პოლიციის საქართველოს პრესცენტრში უმუშავია. სხვათა შორის, იგი „მხედრიონის“ პრესცენტრის ხელმძღვანელიც ყოფილა. თემურ კვირკველიას ქმედებაში, პირადად მე, პირადი განაწყენების ნიშნებს ვხედავ და სხვას არაფერს. იმიტომ, რომ მისი მხრიდან ანალოგიური მცდელობები ადრეც იყო.

გაგრძელება მე—4 გვერდზე

## ლარი და უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 20 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი.

აშშ დოლარი — 1.2680 ლარი,
გერმანული მარკა — 0.8517 ლარი,
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 1.9651 ლარი,
ფრანგული ფრანკი — 0.2492 ლარი,
10 000 თურქული ლირა — 0.1488 ლარი,
1000 რუსული რუბლი — 0.2250 ლარი.

## «შევიტანო, თუ არ შევიტანო?»

გაზეთმა „ბანკი +“ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელშიც თბილისის მკვიდრმა 200-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. „შეგაქვთ თუ არა პირადი დანაზოგი საქართველოს ბანკებში?“ — ასეთი კითხვით მიმართა მათ რედაქციამ. როგორც გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რესპონდენტთა 35 პროცენტს არ გააჩნია დანაზოგი, 25 პროცენტს — აეჭვებს ამა თუ იმ ბანკის სტაბილურობა, რის გამოც დანაზოგის სხვაგან შენახვას ამჯობინებს, 20 პროცენტს — არ აკმაყოფილებს პროცენტული განაკვეთები და ასევე დანაზოგის სხვაგან შენახვას ამჯობინებს. გამოკითხულთა მხოლოდ 10 პროცენტს შეაქვს თავისი ფულადი სახსრები საქართველოს ბანკებში. დანარჩენი ხმები თანაბრად გაიყო — 5 პროცენტი აცხადებს, რომ არ შეაქვს დანაზოგები მწარე გამოცდილების გამო, ხოლო დარჩენილ 5 პროცენტს თავისი დანაზოგი უცხოეთის ბანკებში შეაქვს.

ეროვნული ბანკის ექსპერტები ობიექტურად მიიჩნევენ გაზეთ „ბანკი +“-ის აღნიშნული გამოკითხვის შედეგებს.

იპრინდა

## ტაბახმელაში, «მრგვალ მაგიდასთან...»

ტაბახმელაში მუშაობა დაასრულა ... მოქალაქეთა ასამბლეის მრგვალმა მაგიდამ, რომელიც გაიმართა დევიზით: „ტრანსკავკასიური ... მეხუთე წელიწადი-შემდგომი ნაბიჯები მშვიდობისა და სამართლიანი ... დასამყარებლად“.

... მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, აგრეთვე უკრაინისა და მოლდოვას ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის წარმომადგენლებმა.

... მუშაობის შემდეგ გამოცხადდა კონკრეტული შედეგები, მიღებულ იქნა ორი მიმართვა ამიერკავკასიის ქვეყნების ხელმძღვანელობისადმი. პირველ მათგანში გამოთქმულია თხოვნა სამხედრო ტყვეებისა და მძევლების გათავისუფლების საქმეში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შექმნილი ზოგიერთი ბარიერის მოხსნის შესახებ. მეორე კი მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის მთავრობისადმი კავკასიური ეროვნების პირთა და მოქალაქეთა უფლებების დარღვევების და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მრგვალი მაგიდის კიდევ ერთი, ყველაზე პრაქტიკული შედეგია ელექტრონული ბიულეტინის შექმნა. იგი გამოიცემა რუსულ და ინგლისურ ენებზე და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გავრცელდება ევროპაში. „საზოგადოება დასავლეთში ნაკლებადაა ინფორმირებული ამიერკავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების შესახებ, — განაცხადა ტრანსკავკასიური პროგრამის საერთაშორისო კოორდინატორმა მარტენ ვან ჰარტენმა — სულ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვხედავდით საბჭოთა კავშირსა და მოსკოვს. მხოლოდ ახლა მოგვეცა საშუალება, გავეცნოთ ამიერკავკასიას, ამ ეროვნებებისა და ეთნიკური ჯგუფების ნამდვილ მოზაიკას“.

ალიონი-ექსპრესი

## სავიზო მოსაკრებლების ახალი ტარიფები

აგვისტოს შუა რიცხვებიდან რესპუბლიკაში მოქმედებს სავიზო მოსაკრებლების ახალი ტარიფები. ერთჯერადი ვიზა ორი კვირით უკვე 50 ლარი ღირს, ერთი თვით 66, 05 ლარი, სამი თვით 97,35 ლარი.

სატრანზიტო ვიზა 19, 10 ლარი გახდა, ორჯერადი ტრანზიტით 26, 93 ლარი, სპეციალური ვიზა (საქართველო თურქეთის შეთანხმების ფარგლებში) 191, 24 ლარი, მრავალჯერადი ვიზა ექვსი თვის ვადით 191,24 ლარი, ხოლო ერთი წლის ვადით 285,15 ლარი.

Кавказ - Пресс.

## 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს გიორგი ჭანტურია 37 წლის გახდებოდა



გუშინ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მისი თავმჯომარის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერის გიორგი ჭანტურიას დაბადების 37—ე წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო ოფიციალური მიღება, რომელსაც დასწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, პარლამენტარები, მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები და საზოგადოების წარმომადგენლები.

## დააკავეს პოლიტიკურ მკვლელობებში ეჭვმიტანილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამძებრო დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს მუშაკებისა და დსთ-ს ქვეყნების ორგანიზებულ დანაშაულებებთან ბრძოლის საკორდინაციო ბიუროს თანამშრომლების ერთობლივი ქმედებით, მოსკოვში დააკავეს ქურდული ტრადიციების მატარებელი, მაშველთა კორპუსის ყოფილი წევრი, ე. წ. „საბურთალოს საძმოს" ლიდერი თემურ ქურდიანი. ადრე დაკავებულ სხვა პირებთან ერთად მას ბრალი ედება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, პოლიციის გენერალ-მაიორ გია გულუას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გია ჭანტურიას და აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის პრეზიდენტის სოლიკო ხაბეიშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ორგანიზებაში.

მიმდინარეობს ძიება სხვა დანაშაულობებში ქურდიანის მონაწილეობის დასადგენად. ძიებას აწარმოებს საქართველოს გენერალური პროკურატურა.

Кавказ Пресс

## უსასრულო სასამართლო

გუშინ დიდუბის რაიონის სასამართლოში გაგრძელდა კიტოვანი — სურგულაძე — ფისიუნის სასამართლო პროცესი. დაიკითხა მოწმე გ. ამბოკაძე, რომელმაც განაცხადა, რომ 1995 წლის 13 იანვარს „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის" მიერ წამოწყებულ აქციაში მონაწილე პირები (1700 კაცი) არ იყვნენ შეიარაღებულნი და ნებაყოფლობით გაყვნენ აქციის ხელმძღვანელებს.

ბრალდებულმა ფისიუნმა, იმ მიზეზით, რომ მისი დამცველის მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებული რამდენიმე შუამდგომლობა უპასუხოდ დარჩა, დემონსტრატულად დატოვა სასამართლოს დარბაზი, თუმცა ბადრაგმა მალევე აიძულა უკან დაბრუნებულიყო, რასაც ფისიუნის მხრიდან პროტესტის სხვა ფორმა — თვალებისა და პირის ცხვირსახოცებით ახვევა მოჰყვა. პროტესტი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ბრალდებულმა ვერ შეძლო უბრად ყოფნა, ცხვირსახოცები ჩამოიხსნა და ჩვეული ტემპით განაგრძო სასამართლოს დადანაშაულება უსამართლობაში.

მოწმეთა ნაწილის გამოუცხადებლობის მიზეზით, სასამართლოს სხდომა ხვალისთვის გადაიდო.

იფრინდა.

## გერმანელი პარლამენტარები თბილისში

ხვალ თბილისში ჩამოდის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის დელეგაცია. გერმანელი პარლამენტარები შეხვდებიან საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის და მთავრობის წევრებს.

### ქართველ ჟურნალისტებს ირანში ეპატიჟებიან

საქართველოში ირანის საელჩომ ქართველი ჟურნალისტები მიიწვია ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ეს ვიზიტი, რომლის მიზანია მეზობელი ქვეყნის უკეთ გაცნობა, სავარაუდოდ სექტემბერში გაიმართება.

## მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ხელახალი რეგისტრაცია

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფი მინისტრის მოადგილის ზურაბ გეგეჭკორის ხელმძღვანელობით, რომელიც აკონტროლებს სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარით გადაცემის პროცესს და ატარებს მათ ხელმეორე რეგისტრაციას. ის მეიჯარეები, რომლებიც ამა წლის 31 დეკემბრამდე არ გატარდებიან რეგისტრაციაში, დაკარგავენ მიწაზე საკუთრების უფლებას.

იფრინდა

## ზარანდიას ადვოკატის პრესკონფერენცია

მერაბ კოსტავას ქუჩაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ ბადრი ზარანდიას ადვოკატი გივი მდინარაძე, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი, ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ანა ჭავჭავაძე და ზარანდიას მეუღლე. გივი მდინარაძემ იმ დარღვევებზე ისაუბრა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ზარანდიასა და მასთან ერთად გასამართლებული კიდევ 5 პატიმრის საქმის წინასწარი გამოძიების და სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს. კერძოდ, წინასწარი გამოძიების დროს დაპირისპირებები და ამოცნობები სწორად არ ჩატარებულა. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა კი სრულყოფილი არ ყოფილა. მაგალითად, დასკვნაში წერია, რომ ზარანდიას ამპუტირებული აქვს ბარძაყის ერთი მესამედი, მაშინ, როცა მას მარჯვენა ფეხი თეძოში აქვს გადაჭრილი.

მკვლელობის შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას განსასჯელებს, თურმე, ხელი მოაწერინეს ოქმზე, რომ ადვოკატები არ სჭირდებათ. ამიტომ, შემთხვევის ადგილზე განსასჯელების მიერ ჩვენების უარყოფა ადვოკატებს არ დაუფიქსირებიათ. გივი მდინარაძემ ამ ფაქტს ყოვლად გაუმართლებელი უწოდა. მანვე აღნიშნა განსასჯელების წამების ფაქტები. კერძოდ ის, რომ მალანიას, დაკითხვის დროს, ფეხის ფრჩხილები აძრეს.

ამის თაობაზე მოწმედ გამოიძახეს ზუგდიდის სამძებრო განყოფილების პოლიციელი გოგენია. გივი მდინარაძის თქმით, გოგენია სასამართლოზე გამოწვევად ლაპარაკობდა. ამას განსასჯელების მხრიდან პროტესტი მოჰყვა. ეს კი კარგად გამოიყენა მოსამართლემ და სხდომა მეორე დღისთვის გადადო. მეორე დღეს გოგენია საერთოდ არ გამოჩენილა და, როგორც მდინარაძემ თქვა, იგი არავის დაუკითხავს: არც პროკურორს, არც ადვოკატს და არც მოსამართლეს. „მოსამართლემ შეგნებულად ჩაშალა გოგენიას დაკითხვა", — შენიშნა ადვოკატმა.

გივი მდინარაძემ სხვა დარღვევებზეც გაამახვილა ყურადღება. როდესაც ზარანდია პროცესზე ცუდად ხდებოდა, სიცხე ჰქონდა და მოჭრილი ფეხიდან ჩირქი გადმოსდიოდა, მოსამართლეს არ დაუკმაყოფილებია ადვოკატის შუამდგომლობა ზარანდიას ციხის საავადმყოფოში გადაყვანის თაობაზე. „საერთოდ, — განაცხადა მდინარაძემ, — მოსამართლეს ადვოკატის თითქმის არც ერთი შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებია." ზარანდიას აცილებაც კი მოუცია თავისი ადვოკატისთვის, მაგრამ ამისთვის ვერ მიუღწევია. ბოლოს მოსამართლე ლომინაძეს ადვოკატი მდინარაძე სახაზინო წესით მუშაობაზე გადაუყვანია. გივი მდინარაძემ აღნიშნა, რომ ეს მოსამართლის მხრიდან მორიგი დარღვევა იყო, რადგან სასამართლოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის გარეშე ამის გაკეთება არ შეეძლო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ექვსივე ადვოკატს მიუმართავს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარისთვის, რომელსაც ხელები გაუსავსავებია, არ დამლუპოთო, ხალხო, იძულებული არ გამხადოთ, კოლეგიიდან გაგრიცხოთო. საქმე ისაა, რომ მდინარაძეს აცილების შემდეგ არ სურდა ზარანდიას დაცვა და პროცესიდან ნებაყოფლობით წავიდა. ამისთვის კი ორი ადვოკატი — ჯლამაძე და ნიჟარაძე — ადვოკატთა კოლეგიიდან გაურიცხავთ და დღემდე არ აღუდგენიათ.

ბოლოს ისე გამოვიდა, რომ განაჩენის გამოცხადებას ზარანდიას ადვოკატი არ ესწრებოდა. ესეც დარღვევა არისო, — თქვა მდინარაძემ.

სასამართლოზე მკვლელობის ფაქტზე ბევრი მოწმე დაუკითხავთ. საბოლოოდ, მოსამართლე დარწმუნდა, რომ არასაკმარისი მტკიცებების გამო ამ ბრალდებას განსასჯელებს ვერ წაუყენებდა და საქმე გამოძიებას დაუბრუნა. ადვოკატის აზრით, ესეც დარღვევაა, რადგან გამოძიება ორ წელზე მეტხანს მიმდინარეობდა და მას არაფრის დამატება აღარ შეუძლია. ამ შემთხვევაში კი, პროცესუალური კანონმდებლობის გათვალისწინებით, გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოტანილიყო. საბოლოოდ ზარანდიას, ორი მუხლი მიუყენეს — სამშობლოს ღალატი და ბანდიტიზმი. ადვოკატის თქმით, არც ერთი ისეთი მოწმე არ დაკითხულა, რომელიც სამშობლოს ღალატის ბრალდებას დაადასტურებდა. ზარანდიას კი სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს. ბოლოს, გივი მდინარაძემ დაასკვნა, რომ განაჩენი სწორად არ არის გამოტანილი და იგი გასაჩივრებას საჭიროებს. მაგრამ, სასამართლოს დადგენილებით, განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამიტომ ზარანდიას პრეზიდენტის შეწყალების იმედი და უნდა ჰქონდეს.

ამის შემდეგ ზარანდიას მეუღლემ პატიმრის აუტანელ მდგომარეობაზე ისაუბრა. პირველ რიგში მან აღნიშნა მეუღლის ჯანმრთელობის გაუარესების ფაქტი.

მისი მკურნალობა ორსამ დღეზე მეტხანს არ გაგრძელებულა, საავადმყოფოდან მაშინვე სიკვდილმისჯილთა საკანში გაუქანებიათ. „ტანსაცმელს რომ ვნახულობთ, — თქვა მან, — გული გვიწუხდება, რადგან მას „სოკო" მოჰყვება. საკანში ისეთი პირობებია, რომ პატიმარი დიდხანს ვერ გასტანს. ბადრის ელემენტარული უფლებებიც კი არ გააჩნია. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ადამიანია".

ანა ჭავჭავაძემ დოკვაძის და გელბახიანის შიმშილობაზე ისაუბრა. იმის მიუხედავად, რომ ჰელსინკის კავშირის წევრებმა სთხოვეს მათ, შიმშილობა შეეწყვიტათ, სიკვდილმისჯილები მაინც განაგრძობენ პროტესტს მოთხოვნით — გაიყვანონ აფხაზეთიდან რუსეთის ჯარი. როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, დოკვაძე და გელბახიანი 4 აგვისტოდან შიმშილობენ.

ზაზა ფაჩუაშვილი

## დამნაშავეთა სამყაროს უხუცესი ავტორიტეტი გერმანიაში მოკლეს

რუსეთის დანაშაულებრივმა სამყარომ მორიგი მძიმე დანაკლისი განიცადა. გერმანიაში, ჯერჯერობით გაურკვეველ ვითარებაში, მოკლეს ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი, 56 წლის შაქრო რაჟდენის ძე კაკაჩია, რომელსაც შაქრო-უფროსის სახელით იცნობდნენ. ბერლინის პოლიციის ინფორმაციის თანახმად, კაკაჩიას გვამი 11 აგვისტოს, დაახლოებით 19.20 საათზე ბერლინის ადმინისტრაციული რაიონის — ვილმერსდორფის მიწისქვეშა ავტოსადგომის ერთ-ერთი სართულის გასასვლელთან იპოვეს. პოლიციის მონაცემებით, სიკვდილი გამოიწვია ცეცხლსასროლი იარაღით თავში მიყენებულმა რამდენიმე ჭრილობამ. მკვლელების კვალის მიგნება ანდა, თუნდაც დანაშაულის სურათის აღდგენა გერმანელმა დეტექტივებმა, ჯერჯერობით, ვერ შეძლეს.

ინფორმაცია შაქრო-უფროსის სიკვდილის შესახებ მოსკოვში უმალ გავრცელდა. მიცვალებულის დაკრძალვის ორგანიზებისათვის 13 აგვისტოს მოსკოვიდან გერმანიაში დაღუპულის კოლეგებისა და ახლობლების დელეგაცია გაფრინდა, ხოლო დანაშაულებრივ სამყაროში დაიწყო ახალი ამბის განხილვა — ვის და რატომ დასჭირდა ქურდული მოძრაობის ერთ-ერთი უხუცესის მოკვლა.

შაქრო კაკაჩია ზუგდიდში დაიბადა და ტრადიციულად, ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ქურდული დაჯგუფებების ზუგდიდისა და ქუთაისის შტოებთან. ამასთანავე, ბოლო წლების მანძილზე, იგი მისი ერთ-ერთი გავლენიანი და ავტორიტეტული ლიდერი გახდა. სხვებისგან მას განსაკუთრებით გამოარჩევდა ძველებური ქურდული ტრადიციების დაცვა და სხვადასხვა დაჯგუფებების წარმომადგენლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. სწორედ ამის წყალობით შაქრო-უფროსს კარგად იცნობდნენ არა მხოლოდ მოსკოვის, არამედ ჩეჩნეთისა და ბევრი სხვა რეგიონის დანაშაულებრივ სამყაროში.

კაკაჩიამ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი პატიმრობაში გაატარა, რისი წყალობითაც ბევრი ისეთი ნაცნობი შეიძინა, რომლებმაც შემდგომში ხელი შეუწყვეს მის აღმავლობას მაფიის იერარქიულ კიბეზე. კერძოდ, იგი საკმაოდ ახლო ურთიერთობაში იყო ცნობილ ვიაჩესლავ ივანკოვთან („იაპონჩიკთან"). შაქრო-უფროსი კარგა ხნის წინ მოსკოვში დამკვიდრდა. იგი ცხოვრობდა მარშალ ვასილევსკის ქუჩაზე მდებარე ბინაში, ხოლო საქმიან საკითხებს, ჩვეულებრივ, რესტორან „ბაბილონის" მახლობლად მდებარე თავის ოფისში წყვეტდა. დასვენება კი მას ყველაზე მეტად რესტორან „სამოთხის კუთხეში" და დუქან „ელისეისთან" უყვარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოველი მაძებრები შაქრო-უფროსს საკმაოდ ხშირად აწუხებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ იგი ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი იყო. მაგრამ უკანასკნელ წლებში ავტორიტეტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მუდამ ხელიდან უძვრებოდა. რამდენადაც ცნობილია, უკანასკნელ ხანს კაკაჩიას ბიზნესი ფრიად მრავალფეროვანი იყო. მისი დაჯგუფება მთელ რიგ ბანკებსა და საწარმოებს აკონტროლებდა. გარდა ამისა, სწორედ შაქრო-უფროსი მიიჩნეოდა გატაცებული ავტომანქანების გერმანიიდან რუსეთში ჩაყვანის ერთ-ერთ „კურატორად".



# სკანდალი პრეზიდენტის დაბადების დღეზე

გუშინ აშშ-ს პრეზიდენტს დაბადების დღე ჰქონდა — ბილ ქლინტონი 50 წლის შესრულდა. ამ თარიღის აღნიშვნა ამერიკაში უკვე კვირას დაიწყეს — პრეზიდენტს მიართვეს შეერთებული შტატების დროშის ფორმის მქონე 150 კილოგრამიანი ტორტი. ქლინტონმა ვერ შეძლო მასზე ანთებული ყველა სანთლის ჩაქრობა და მამის დასახმარებლად ქალიშვილი ჩელსი მივიდა.



საზეიმო ღონისძიება ნიუ-იორკის ერთ-ერთ უდიდეს საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. იუბილარისადმი მიძღვნილი კონცერტის და საზეიმო ვახშმის ბილეთები საკმაოდ ძვირი — 250-დან 15 ათას დოლარამდე ღირდა.

შეგროვილი სახსრები თეთრი სახლის ამჟამინდელი მეპატრონის წინასაარჩევნო კამპანიას მოხმარდება. მაგრამ ზეიმს სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია: სოციუზრუნველყოფის რეფორმის შესახებ ახალი კანონპროექტის მოწინააღმდეგეები შეეცადნენ პრეზიდენტისთვის სიტყვა შეეწყვეტინებინათ. რამდენიმე მათგანი საპროტესტო პლაკატებით ტრიბუნის წინ, პარტერის წინა რიგებში აღმოჩნდნენ და გაჰყვიროდნენ: "სირცხვილი, სირცხვილი". მაგრამ წესრიგი მალევე აღადგინეს — პოლიციელები იძულებულნი გახდნენ რამდენიმე აქტიური დემონსტრანტი დაეპატიმრებინათ.

# პრეზიდენტის ტვირთი — ავარიაში

კვირას, იმ თვითმფრინავის კატასტროფის ადგილზე, რომელსაც აშშ პრეზიდენტის ბილ ქლინტონის ავტომობილი და კავშირის საშუალებები გადაჰქონდა, პირველი საძიებო ჯგუფი ჩავიდა. როგორც ოფიციალური წყაროები იუწყებიან, თვითმფრინავის ბორტზე მყოფი ცხრავე ადამიანი დაიღუპა. კატასტროფის მიზეზები ჯერ დადგენილი არ არის.

# მოითხოვენ ქვეყნის გაერთიანებას

სეულის პოლიციამ გადაუკეტა პროდუქტებისა და მედიკამენტების მიწოდების ყველა გზა "ენსეის" უნივერსიტეტსა და მის მიმდებარე რაიონს. ურთიერთობა სტუდენტებს, რომლებიც ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დაუყოვნებლივ შეერთებას მოითხოვენ, და ხელისუფლებას შორის, ძალზე დაიძაბა. დაჭრილთა რიცხვმა 20-ს, ხოლო დაპატიმრებულთა რაოდენობამ უკვე 400-ს გადააჭარბა.



საპროტესტო აქციაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 51-ე წლისთავთან და იაპონელი კოლონიზატორების ბატონობისგან კორეის ნახევარკუნძულის გათავისუფლების იუბილესთან დაკავშირებით დაიწყო, უკვე 7 ათასზე მეტი სტუდენტი მონაწილეობს.

# პრეზიდენტები თავს დამნაშავედ არ გრძნობენ

26 აგვისტოსთვის გადაიდო კორეის ექსპრეზიდენტების, ჩონ დუ ხვანისა და რო დე უსთვის განაჩენის გამოტანა. მათ, შესაბამისად, სიკვდილით დასჯა და სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ. როგორც ადრე იტყობინებდით, კორეელ გენერლებს ბრალად ედებათ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების ორგანიზება, სტუდენტთა მასობრივი გამოსვლების სისხლში ჩახშობა, აგრეთვე, ქვეყნის წამყვანი კორპორაციებისგან სისტემატურად ქრთამის აღება. თუმცა, ყოფილი პრეზიდენტები წაყენებულ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობენ.

## შესწორება

გაზეთ „კავკასიონში" „რუსთავი-2"-თან დაკავშირებით დაბეჭდილ წერილებში „გამა +"-ის ადვოკატის გვარი მითითებული იყო შეცდომით — მუხაშავიძის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს მუხაშავრია.

# ზღვაში თევზი აღარ დარჩა




ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბელ მატუტესმა ევროკავშირს მოუწოდა, მეტი ყურადღებითა და სიმკაცრით განიხილოს ხმელთაშუა ზღვაში კანონიერი თევზჭერის საკითხი. მისი თქმით, ესპანეთის მთავრობას სურს, რომ ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ხელმძღვანელებმა გააკონტროლონ თავიანთი მეთევზეები და დასაჯონ ისინი, ვინც დადგენილ სტანდარტზე უფრო დიდ თევზსაჭერ ბადეებს იყენებს.

ესპანეთის რისხვა, ძირითადად, იტალიელ მეთევზეთა თავხედობამ გამოიწვია. მიმდინარე კვირის დასაწყისში მათ უკვე ჰქონდათ მძაფრი კონფრონტაცია მალიორკის სანაპირო ზოლის „გრინპისის" წარმომადგენლებთან. იტალიელებს ბრალად ედებათ დადგენილ ზომაზე რვაჯერ უფრო გრძელი ბადეების გამოყენება. „გრინპისი" აცხადებს, რომ ასეთი სიგრძის ბადეებით თევზჭერის წარმოება ხმელთაშუა ზღვის მთელ რიგ ნაწილებში თევზის მასობრივ განადგურებას გამოიწვევს.

# ტერორისტი ჟურნალისტები

ორი ესპანელი ჟურნალისტი დიდი რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისთვის დააკავეს. ისინი ერთ-ერთ იმ ესპანურ ყოველკვირეულ გაზეთში თანამშრომლობდნენ, რომელიც ახლოს იდგა ბასკთა სეპარატისტული მოძრაობა „ეტა"-ს პოზიციებთან.

ჟურნალისტებს ბრალი ედებათ 16 აგვისტოს სალვატიერის საფეიქრო საწარმოში მომხდარ აფეთქებაში.

# «ცოდვილი» ჩინოსნები



„სუფთა ხელებისთვის" ყოფილმა მებრძოლმა, ამჟამად საზოგადოებრივი სამსახურის მინისტრმა, მოსამართლე ილიეტრომ მორიგი სიურპრიზი შესთავაზა იტალიელებს. ამჯერად იგი ინიციატორია კანონპროექტისა, რომელიც სახელმწიფო ჩინოვნიკებზე კონტროლის გამკაცრებას ითვალისწინებს. ამ კანონის მიღების აუცილებლობის დასადასტურებლად მინისტრს ასეთი ფაქტოლოგიური მასალა მოჰყავს: ბოლო ხუთი წლის მანძილზე იტალიური კანონების მსახურებმა 884-ჯერ გააყალბეს დოკუმენტები, 361-ჯერ გაებნენ კორუფციის ქსელში, 300-ჯერ მიმართეს აშკარა გამოძალვას, 282-ჯერ ითაღლითეს და ა. შ.

ამაში, თითქოს, არაფერია გასაკვირი — ყველა ქვეყანაში სურთ კარგად და მხიარულად ცხოვრება. მაგრამ სურვილი და შესაძლებლობა ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს — ამისთვის კანონზე „გადაბიჯება" ხდება საჭირო. და ბოლოს: უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩინოვნიკები ხუთჯერ „გამოიჭირეს" შეიარაღებული ბანდების შექმნის მცდელობაში.

# «ოკეანის ფესტივალის» მონაწილენი ოკეანემ შთანთქა



საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ოკეანის სანაპირო ზოლის ფიმდებარე დასახლება ილ დ ოლურონის მახლობლად კვირას კატასტროფა განიცადა მცირე საზღვაო ხომალდმა, რომელსაც „ოკეანის ფესტივალის" მონაწილენი გადაჰყავდა. 13-მეტრიანმა ტალღამ გადააბრუნა გემი, რის შედეგადაც, როგორც ვარაუდობენ, დაიხრჩო ოთხი და უგზო-უკვლოდ დაიკარგა ხუთზე მეტი ადამიანი. იტყობინებიან იმასაც, რომ ამ ხომალდს მგზავრთა დასაშვებ ნორმაზე ზედმეტი რაოდენობა გადაჰყავდა. მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები, თუმცა, მისგან საიმედოს ნაკლებად ელიან.

# იაპონელები პრემიერს ეურჩებიან




კუნძულ ოკინავას (იაპონია) ადმინისტრაციამ უარი განაცხადა შეასრულოს ქვეყნის პრემიერის რიუტარო ხასიმოტოს მითითება, აშშ-ს სამხედრო ობიექტების არენდის თაობაზე შეთანხმების ვადის გაგრძელების შესახებ. ოკინავას იმ ნაწილის მფლობელებად, სადაც ამერიკის სამხედრო კონტინგენტის 3/4-ია განთავსებული, სამი ათასამდე ადგილობრივი მცხოვრები ითვლება. ამიტომ იაპონიის მთავრობის მეთაურს თავისი განკარგულების რეალიზება სასამართლოს გზით მოუწევს.

მოძრაობა, რომელიც ამერიკელთა სამხედრო ბაზების შემცირებას მოითხოვს, კუნძულზე განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც გასული წლის შემოდგომაზე სამმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ ადგილობრივი სკოლის მოსწავლე გააუპატიურა.

## ბოსნია

# ნადგურდება იარაღის საწყობი

კვირას, პალეში დამთავრდა მოლაპარაკებები იარაღის საწყობის თაობაზე ბოსნიელ სერბთა ხელმძღვანელობასა და დეიტონის შეთანხმების შესრულების ჯგუფის წარმომადგენელს, ინგლისელ გენერალ მაიკლ უოკერს შორის. შეგახსენებთ, რომ ამ „გახმაურებულ საწყობში" ინახებოდა ჰაუბიცების, ასაფეთქებელი მოწყობილობების, ნაღმების დიდი რაოდენობა (საერთო წონა — 300 ტონაზე მეტი).

საწყობის ლიკვიდაციის აქცია გუშინ დაიწყო და ორ დღეს გასტანს. მაგრამ მისი დასრულება შეიძლება გაართულოს ადგილობრივი მოსახლეობის მიტინგებმა, რომლებიც ეკოლოგიური ლოზუნგებით ჩატარდება.

# ძალოვან სტრუქტურათა ლიდერების კოლიზია

გასულ კვირას რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლებედმა სიტყვა შეასრულა და 6 აგვისტოს გროზნოზე ჩეჩენ მებრძოლთა თავდასხმასა და ომის განახლებაზე პასუხისმგებლები დაასახელა. თუმცა, ეს სია, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი ადამიანისგან — შინაგან საქმეთა მინისტრის ანატოლი კულიკოვისგან — შედგება. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, სწორედ მას ჰქონდა დაკისრებული ჩეჩნეთში მართლწესრიგის დაცვა და „ბანდფორმირებების განიარაღება".

ალექსანდრე ლებედმა ბორის ელცინს კულიკოვის განთავისუფლება მოსთხოვა ("ბორის ნიკოლოზის ძევ, თქვენ ძნელი არჩევანის გაკეთება მოგიწევთ: ან მე, ან კულიკოვი"), რადგან, მისი თქმით, „ორი ფრთოსანი ერთ ბუნაგში ვერ მოთავსდება".

უშიშროების საბჭოს მდივანმა შინაგან საქმეთა მინისტრს მრავალ ცოდვაში — ტოტალიტარული სამსახურებრივი სისტემიდან დაწყებული და თავად ლებედის დევნით დამთავრებული — დასდო ბრალი. მან ასევე დაადანაშაულა მინისტრი ჩეჩენი მებრძოლების მიერ გროზნოს აღებაში მაშინ, როდესაც „მოსალოდნელი შტურმის შესახებ თითქმის ყველამ იცოდა". გარდა ამისა, კულიკოვი კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა, რომ უშიშროების საბჭოს მდივანს დამორჩილებოდა. უფრო მეტიც: როდესაც ერთ-ერთ საგუშაგოზე ვიღაც ლეიტენანტისთვის მოუხსენებიათ ჩეჩნეთში ლებედის გამოჩენის თაობაზე, მას მყისვე „გაუცია ბრძანება": „ჩააყუდეთ სახით.. სიბინძურეში".

ძნელი სათქმელია, ლებედის პოზიციები არ არის დღეისთვის საკმაოდ მყარი თუ კულიკოვში თვითგადარჩენის ინსტიქტი ამოქმედდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ უკანასკნელმა მაშინვე გააკეთა ოფიციალური განცხადება: „ლებედის ჩემზე თავდასხმის მიზეზი ადვილი გასაგებია. ბევრისთვის მე უხერხულ ფიგურას წარმოვადგენ.. იგი კიდევ ბევრი ადამიანის ბედს დაამსხვრევს ძალაუფლებისკენ მანიაკური სწრაფვის გამო. რაც შეეხება დაღესტნისა და ინგუშეთის კონფლიქტში შესაძლო ჩათრევას, აგრეთვე ლებედის წინააღმდეგ მოწყობილ თვალთვალს — ყოველივე ეს ასევე მანიაკური დევნის პათოლოგიური ფორმაა".

განცხადების დასასრულს, ძალოვანი სტრუქტურის მინისტრი იტყობინება, რომ „ლებედის მხრიდან ცრუ ბრალდებებისა და შეურაცხყოფის გამო, მას პატაკით მიუმართავს პრეზიდენტისთვის, დაკავებულ თანამდებობაზე დარჩენის საკითხის გადაწყვეტის შესახებ".

რაც შეეხება ჩეჩნეთის კრიზისის დარეგულირების სამშვიდობო გეგმას, ლებედს განზრახული აქვს იგი კულიკოვთან კოლიზიის დასრულების შემდეგ გამოაქვეყნოს.

პირველი გვერდიდან

— ესე იგი, თქვენ მიიჩნევთ, რომ ეს პროკურატურის პრესცენტრის ხელმძღვანელის ერთპიროვნული მოსაზრებაა და შსს-ს მიმართ მან ასე გაბედულად, უწყების ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად იმოქმედა?

**— შესაძლებელია, ამ საქმეში სხვა ვინმეც იყოს ჩარეული. უბრალოდ, მე არ მინდა, დავიჯერო, რომ გენერალურ პროკურორს ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილს ამაში რაიმე წვლილი მიუძღვის. მით უმეტეს, დღეს იგი შვებულებაშია. ბატონი რევაზ ყიფიანი და უწყების სხვა ხელმძღვანელები, ვისთანაც საუბარი მქონდა, რომ არაფერ შუაში არიან, ღრმად ვარ დარწმუნებული.**

— თქვენ დასაშვებად მიგაჩნიათ ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა გააკეთოს რაიმე განცხადება, რომლის შესახებაც თქვენ არაფერი იცით?

**— თუკი რაიმე შსს-ს სახელით კეთდება, მე ამაზე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ. ის განცხადება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა, ჩემთვის, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე ცნობილი იყო და მასში ზოგიერთი შესწორებაც შევიტანე, ვინაიდან, განცხადებაში რამდენიმე მომენტი საკმაოდ მძიმე იყო და ეს მეტ კონფრონტაციას შეუწყობდა ხელს.**

— რას გვეტყვით შსს-ში მოწმე ყიფშიძის ცემის შესახებ? არის თუ არა თქვენთვის ეს ფაქტი ცნობილი და რა რეაგირება მოჰყვა მას უწყების ხელმძღვანელობის მხრიდან?

**— მოწმე ყიფშიძე პროვოცირებული იყო სწორედ პროკურატურის მიერ. რეალური ვითარება კი შემდეგნაირია: ყიფშიძემ წინასწარი განზრახვით ყალბი ჩვენება მისცა შსს-ს თანამშრომლებს. მან თავის ხელით დაწერა ყველაფერი. შემდეგ გავიდა შენობიდან და ქვევით მომლოდინე ხალხს, ვისაც არ აწყობდა, რომ ყიფშიძეს სიმართლე ეთქვა, განუცხადა, თითქოს იძულებული იყო, რომ გამომძიებლისთვის სიმართლე გაემხილა. როგორც შემდგომ გაირკვა, პროკურატურის ერთ-ერთ თანამშრომელს უთხოვია რაღაც იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც ყიფშიძე მოწმედ იყო მოყვანილი, მაგრამ, ბუნებრივია, მას ეს თხოვნა ვერ შეუსრულეს, ვინაიდან, ამ შემთხვევაში დანაშაულზე იყო საუბარი. შემდეგ გაკეთდა ინსცენირება, თითქოს ეს მოწმე ცემით მოკლეს.**

— კონკრეტულად ვინ იყო პროკურატურის შუამავალი თანამშრომელი?

**— ეს პიროვნება დღეს ბრალდებული არ არის. მან, უბრალოდ, ვიღაცას რაღაც სთხოვა. ამის ხმამაღლა თქმას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.**

— ვინ ცემა მოწმე ყიფშიძე?

**— ცემეს კი?**

— მაშინ დავაზუსტოთ: არავის უცემია მოწმე შსს-ში?

**— არა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ ჩემთვის უცნობია.**

— იქნებ, თქვენს უწყებაში ისეთი რამეც ხდება, რაც თქვენთვის უცნობია?

**— ამ კითხვის დასმით ჩიხში ვერ შემიყვანთ. საკმაოდ ძლიერი იურისტი ვარ და, ამრიგად, ჩემი ჩიხში შეყვანა ცოტა ძნელია. თუმცა, არც იმას ვამბობ, რომ ჩვენს უწყებაში დარღვევები არ ხდება. ამაზე ჩვენ მკაცრად ვრეაგირებთ.**

— მე ერთ კონკრეტულ, მოწმე ყიფშიძის ცემის ფაქტზე გეკითხებით...

**— ამ ფაქტზე ჩვენს მიერ მოკვლეული მასალები პროკურატურაში გადავაგზავნეთ. ამის შესახებ იქ გეტყვიან. თქვენ როგორ ფიქრობთ, ყველა შემთხვევაზე მინისტრი გავა, ყველა ფაქტზე მოკვლევას მინისტრი ჩაატარებს? რამდენადაც ვიცი, მოკვლევამ მოწმის ცემის ფაქტი არ დაადასტურა. ხოლო ვის გამოსაყვანადაც ცრუ ჩვენება სჭირდებოდათ, ის პიროვნება დაპატიმრებულია და განაჩენს ელოდება. ასეთი ინსცენირების ჩატარება ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით შეიძლება. გამოდის, რომ დამნაშავეთა სამყარო თავს იცავს პოლიციისგან.**

**როგორც კვირკველია ამბობს, თურმე, რეციდივისტებს უნდა ჰკითხოს საზოგადოებამ, ცემენ თუ არ ცემენ სამინისტროში. ზოგჯერ თავად დამნაშავეები ქმნიან ცემის იმიტაციას იმ მოტივით, რომ ძიების პროცესში სიმართლის თქმის შემდეგ, გარეთ მყოფი ბნელი სამყარო მათ ოჯახებს ააწიოკებს. ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება კი, რეციდივისტების დონეზე საზოგადოებრივი აზრის შექმნა?**

## კახა თარგამაძე:

# „ვინც პოლიციას შეებრძოლება, აუცილებლად დამარცხდება!"



**ნითელი ჯვარი თითქმის ყოველ კვირაში ხვდება №5 იზოლატორში პატიმრებს და მსგავსი ფაქტები არავის დაუფიქსირებია. საიდან მოიტანეს ცემა-ტყემის ფაქტები, ჩემთვის გაუგებარია.**

— 8 მაისს შსს-ში გამართულ პრესკონფერენციაზე პირადი შემადგენლობის ინსპექციის უფროსმა ირაკლი განუგრავამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ზემოხსენებულ ფაქტს ათი დღის განმავლობაში გამოიძიებდა და გამოძიების შედეგებს ამცნობდა. მას შემდეგ მრავალმა ათმა დღემ განვლო...

**— ამ ფაქტის გამოძიებით დადასტურდა, რომ ეს პიროვნება რამდენიმე დღით ადრე ავარიში მოყვა და ავარიის შედეგად სერიოზული დაზიანებაც მიიღო. მე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია.**

**მე მეორე ფაქტს გეტყვით: როგორ მოხვდნენ ჟურნალისტები საავადმყოფოში მოწმე ყიფშიძის მიყვანიდან 15 წუთის შემდეგ? ყველა ეს ჟურნალისტი პროკურატურის პრესცენტრმა გაგზავნა იქ. როცა პირადი შემადგენლობის ინსპექცია საავადმყოფოში მივიდა, მას უკვე ყველა ჟურნალისტი ადგილზე დახვდა.**

— ყოველ შემთხვევაში, დამეთანხმებით, ამ ცნობის შემდეგ ნებისმიერ მოქალაქეს შსს-ში მოწმედ მისვლა გაუჭირდება. ეს კი, ალბათ, ისევ საქმის გამოძიებას შეუშლის ხელს...

**— მაშინ გამოდის, რომ პოლიციაში კაცი მოწმედ ვეღარ უნდა მოვიყვანოთ. ერთი კარგი წინადადება მაქვს: მაშინ პოლიცია გავაუქმოთ. ასეთი ინფორმაციაც იყო, რომ დედამ თავი მოიკლა. თუ ყველა მშობელი თავის თავს ასეთი რამ დამართა იმის გამო, რომ მისი შვილი დაპატიმრებულია, გამოძიებას საერთოდ თავი უნდა დავანებოთ.**

**უფრო მეტიც... პროკურატურის ამასწინანდელ კოლეგიაზე ერთ-ერთი თანამშრომელი (გვარი არ მახსოვს) გამოვიდა და განაცხადა, თითქოს ქუთაისში ელექტროდენით აწამეს მამა-შვილი. ეს საქმე თავად პროკურატურამ გამოიძია და მსგავსი ფაქტი არ დადასტურდა. ახლა მე გეკითხებით, უნდა მოიხადოს თუ არა საჯაროდ ბოდიში პროკურატურის იმ თანამდებობის პირმა, რომელმაც ჟურნალისტების თანდასწრებით ასეთი რამ განაცხადა?!**

— მაშინ მეც გკითხავთ, ასეთი ცრუ განცხადებების გამო, როგორც თავად ბრძანებთ, პასუხი უნდა აგონ თუ არა ცალკეულმა პირებმა ან მთლიანად უწყებამ?

**— მე არავისთან არაფერი მაქვს საჩხუბარი. ერთ რამეს ვამბობ: არ შეიძლება ისეთი დაუფიქრებელი განცხადებების გაკეთება, რომელსაც საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს. ჩვენ კი ვავლენთ შსს-ს უწყებაში ულირს თანამშრომლებს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სხვა სტრუქტურა საკუთარ დამნაშავეებს მალავს.**

— შსს-ს განცხადებაში ნათქვამია, რომ ულირსი თანამშრომლები პროკურატურაშიც არიან და მათი რიცხვი არც ისე მცირეა. ვფიქრობ, ზედაპირულად, დაუკონკრეტებლად ამის თქმა ვერაფერ სიკეთეს მოგვიტანს. კონკრეტულად ვის გულისხმობთ ულირსებში?

**— კონკრეტულ ფაქტს ვერც პროკურატურა ასახელებს. ერთადერთი, რაც თქვეს, ისაა, რომ პოლიციელთა დანაშაულები ვითომ მათ გამოავლინეს. სინამდვილეში საკუთარი უწყების თანამშრომლები ჩვენ თვითონვე გამოვააშკარავეთ. ყველა დანარჩენი ბრალდება ტყუილია.**

— მოულოდნელი იყო თუ არა თქვენთვის პროკურატურის ასეთი მკაცრი განცხადება?

**— სიმართლე გითხრათ, ადრეც იყო რაღაც მცდელობები, მაგრამ ეს განცხადება ნამდვილად მოულოდნელი იყო. ჩვენ პასუხი იმიტომ გავეცით, რომ საზოგადოება გარკვეულიყო, რაშია საქმე. სხვა შემთხვევაში საზოგადოება მიიჩნევდა, რომ იმ განცხადებაში რაღაც ნაწილი მაინც სიმართლე იყო. ჩვენ რჩევა მივეცით, რომ თქვენ თვითონ გამოავლინეთ თქვენს უწყებაში ისეთი თანამშრომლები, რომლებიც მთლად ფრთიანი ანგელოზები არ არიან.**

— რატომ არ ასახელებთ იმ პიროვნებებს, რომლებსაც „უფრთო ანგელოზებში" გულისხმობთ?

**— მე რომ მდომოდა, ამას ხმამაღლა ვიტყოდი. მე არავისი მეშინია. მგონი, ამდენი ხნის განმავლობაში უნდა შეგემჩნიათ, ვარ თუ არა მშიშარა.**

**მე პროკურატურასთან სადავო არაფერი მაქვს. ჩვენ ერთმანეთში ამა თუ იმ საკითხზე ვკამათობთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ორი უწყება ერთმანეთს წაეკიდა. მე ჩემს თანამშრომლებს ზოგჯერ ტყავს ვაძრობ, მაგრამ იმათი მტერი კი არ ვარ.**

— ტყავს აძრობთ, ალბათ ისე, როგორც — ჟურნალისტებს...

**— მე ჟურნალისტებთან ყოველთვის ნორმალური დამოკიდებულება მქონდა და მაქვს. რა შეიძლება მქონდეს ჟურნალისტებთან გასაყოფი. მე მათ ერთს ვთხოვე: ნუ დაბეჭდავენ გადაუმოწმებელ ინფორმაციებს.**

**ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა გაზეთ „დრონის" კორესპონდენტები მოვიწვიე. საქმე ეხებოდა კოდორის ხეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მე მათ აბსოლუტურად ნორმალურად ვესაუბრე. არ შეიძლება, გამოაქვეყნო, რომ კოდორის ხეობაში ქართული პოლიციის შესვლა ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირებას გამოიწვევს. მათ ვურჩიე, რომ ვიდრე ასეთ ინფორმაციას გამოაქვეყნებდნენ, შსს-ში უნდა გადაემოწმებინათ იგი. სხვათა შორის, ჟურნალისტებმა განმიცხადეს, რომ მათზე იყო ზეწოლა.**

**ამ ინფორმაციის შემდეგ ატყდა პანიკა. რუსეთის სამშვიდობო ძალები ჩავიდნენ ადგილზე სიტუაციის შესამოწმებლად.**

**დღეს კოდორის ხეობის მოსახლეობასა და პოლიციის ქვედანაყოფებს შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობაა. მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა სამართალდამცავთა იქ ჩასვლას. ასე რომ, ცეცხლზე ნავთი კი არ უნდა დავასხათ, ყველა სასიკეთო მოვლენას მხარი უნდა დავუჭიროთ.**

**ეს იყო და ეს, სხვა პრობლემა მე ჟურნალისტებთან ურთიერთობაში არ მქონია, მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა.**

**სხვათა შორის, ისიც დამაბრალეს, თითქოს შსს უწყებას გაზეთებისთვის რაღაც პრობლემა შეექმნას. ეს სრული აბსურდია. ჰკითხეთ თქვენს კოლეგებს, თუ შსს-დან ვინმემ შეამოწმა ისინი და დარწმუნდებით, რომ არც მსგავსი რამ მომხდარა. თუკი რაიმე დანაშაულებრივი ფაქტი მოხდება, გაზეთში იქნება ეს თუ სხვა ორგანოში, ჩემი მოვალეობაა, აღვკვეთო. თუმცა, ასეთი შემთხვევა, საბედნიეროდ, ჯერჯერობით, არ მქონია.**

— თქვენ ბრძანებთ, რომ ყველამ უნდა აგოს პასუხი საკუთარ დანაშაულზე. მაშინ იმ უწყებამაც უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე, რომელმაც, როგორც აცხადებთ, ცილისმწამებლური ბრალდებები წამოგიყენათ...

**— მე დღეს ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მილიონი საქმე მაქვს საკეთებელი. სრულებით არ მაქვს სურვილი, რომ ვიღაცეებს გაზეთების საშუალებით პასუხები გავცე და მთელი სამინისტრო პრესცენტრად გადავაქციო. კვირკველია უსაქმურია, მაგის გარდა სხვა საქმე არაფერი აქვს. ახლა კვირკველიას დონეზე დასვლა, პირდაპირ გეტყვით და, ჩემთვის შეურაცხმყოფელია. მაშინ მე კვირკველია ვიქნებოდი და არა კახა თარგამაძე.**

— მაშინ არც ხვალ-ზეგაა გამორიცხული პროკურატურის მხრიდან უფრო უარესი განცხადებების გაკეთება, თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, მეტი რაღა უნდა დაგაბრალონ...

**— მაშინ უკვე, ალბათ, კანონით გათვალისწინებულ ზომებს მივიღებთ. საერთოდ მიმაჩნია, რომ პრესის მეშვეობით პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს საუბარი, აბსოლუტურად გაუმართლებელია. მე, მაგალითად, ის უფრო მწყინს, როცა წერენ, თითქოს შსს-ში არავითარი სტრუქტურული ცვლილება არ მომხდარა, ვიდრე კვირკველიას ლაპარაკი.**

— რას გვეტყვით გელა კავთელაშვილის საქმესთან დაკავშირებით, რომლის გამოც შსს-ს დაინტერესებულმა პირებმა მის თავდებში გასაშვებად პროკურატურა აანრიალეს?

**— ამ ფაქტის შესახებ საერთოდ არა ვარ საქმის კურსში. მაშინ მე არც შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი და არც ამ ფაქტთან მქონია რაიმე შეხების ნერტილი [illegible] საუბარი. მე იმ პერიოდში სხვა ოპერატიულ სამსახურებთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია. სხვის საქმეში არასდროს მჩვევია ჩარევა.**

**შეიძლება კი, ასე ხელაღებით შეურაცხყო ის ოპერატიული მუშაკები, რომლებიც ყოველდღე სიკვდილს უყურებდნენ თვალებში?! ეს შეიძლება სხვამ არ იცის, მაგრამ ჩვენ ყველაფერი ვიცით. ძალიან ბევრი რამ არის სათქმელი. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში პოლიციელი სახელმწიფო სიმბოლიკას განასახიერებს, ჩვენში კი, რატომღაც, ყველაფერი პირიქითაა.**

**მაშინ, მოდით, ჩავატაროთ ექსპერიმენტი და მსოფლიოში პირველი ქვეყანა ვიქნებით, ისე როგორც ბევრ რაღაცაში, და გავაუქმოთ პოლიცია. მართლაც არის ასეთი ვარიანტი. შემდეგ...**

— ალბათ, პროკურატურა იკისრებს პოლიციის ფუნქციებს...

**— საუბედუროდ, ვერ იკისრებს იმიტომ, რომ პროკურატურას მსგავსი ფუნქცია არასდროს ჰქონია. პროკურატურა კი აწარმოებს გამოძიებას, მაგრამ ხუთჯერ მეტი გამომძიებელი შსს-ს სისტემაშია. მათ არც ოპერატიული მუშაკები ჰყავთ. ღმერთმა პროკურატურას ის ფუნქცია შეასრულებინოს, რაც დღეს აქვს. ხოლო ხვალ რა დაეკისრება, ამას, ალბათ, მომავალი გვიჩვენებს.**

— შსს-ს განცხადებაში ისიცაა ნათქვამი, რომ პროკურატურაში გადაგზავნილი საქმეების მხოლოდ 20 პროცენტზეა აღძრული სისხლის სამართლის საქმე. დაგვისახელეთ კონკრეტული ფაქტები.

**— ეს პირადი შემადგენლობის ინსპექციის მიერ დათვლილი პროცენტებია. ხშირად, როცა თანამშრომლებს ვათავისუფლებთ, პროკურატურა წყვეტს მათ წინააღმდეგ საქმეს და მათ სამსახურში აღდგენას გვთხოვს. მე კი უნდობლობის მქონე თანამშრომელს არ აღვადგენ სამსახურში. ჩვენ ჭრელო პეპლის როლში ვართ. დაჭირდებათ, მოგვწერენ — აღადგინეთ, მოუნდებათ, მოგვწერენ — რატომ არ იჭერთ არასანდო თანამშრომლებს და ვართ ასე. ჩვენ საკმაოდ კომპეტენტურნი ვართ და ჩვენ გადავწყვეტთ, ვინ უნდა იმუშაოს პოლიციაში.**

— დაბოლოს, ბატონო კახა, როცა პროკურატურა აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოროტმოქმედები არიან, ხოლო თავის მხრივ, შსს პროკურატურას ბრალდებულების წინააღმდეგ ზედმეტ ლოიალობაში სდებს ბრალს და ულირს თანამშრომლებზე მიუთითებს, ასეთ ვითარებაში, ბოლოს და ბოლოს, ვის უნდა ენდოს ხალხი, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას?

**— ვინც ხალხი და ქვეყანა გადაარჩინა, საზოგადოებას მხოლოდ იმის იმედი უნდა ჰქონდეს. ხალხი და ქვეყანა კი პოლიციამ გადაარჩინა. ყველა უწყებას პატივს ვცემ, მაგრამ შსს ის სტრუქტურაა, რომელსაც უძღვება დამნაშავეობის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა.**

— როცა პროკურატურის თანამშრომელი სჩადის დანაშაულს, საქმეს ვინ იძიებს?

**— თავად პროკურატურა.**

— პროკურატურაში შეიქმნა პოლიციის ზედამხედველობის სამმართველო. ამ ფაქტზე რას გვეტყოდით?

**— წინასწარ ვაცხადებ: ვინც პოლიციას შეებრძოლება, აუცილებლად დამარცხდება! მე არ ვიცი, ვინ რა გამოიგონა და რა შეიქმნა. ვიცი ის, რომ შსს სისტემაში ფუნქციონირებს სპეციალური სამსახური, რომელიც პოლიციელთა დანაშაულებს ავლენს. ვინც პოლიციასთან უღირსი წონო გზით დაჯახებას გადაწყვეტს, ცოტა ფრთხილად უნდა იყოს. ვინც ეს გასინჯა, გამოცადა კიდეც საკუთარ თავზე.**

ესაუბრა

**დიანა გაბროშვილი**

# მხოლოდ ფაქტები

## ტყვეობიდან გაქცევა

რუსი პილოტები, რომლებიც ნელი-... მეტი ხნის განმავლობაში ავღანური ...ობა „ტალიბანის" ტყვეობაში იმყოფებოდნენ და ბოლოს თავისუფლებას ...ს, გუშინ ყაზანში ჩაფრინდნენ. ქალა... აეროპორტში მფრინავებს ახლობლებ... და ნათესავებთან ერთად თათრეთის ...დენტი მენტიმირ შაიმიევიც შეეგება, ...მაც მადლობა გადაუხადა ტყვეობი... თავდახსნილთ „გმირობის, გამძლეობის და მტკიცე ხასიათის გამოჩენისთვის". ყაზანის აეროპორტში სახელდახელოდ ...ბილ პრესკონფერენციაზე ყანდაგა... რუსი მფრინავების გაქცევა მიხეილ ...ტაევის გერმანელი ნაცისტების ტყვე...დან გაქცევას შეადარეს და დასძინეს, ... რუსი პილოტები უფრო მძიმე პირო... კი მოქმედებდნენ. პრესკონფერენ... მფრინავები დაწვრილებით მოყვნენ ...ობიდან გათავისუფლების დეტალებს.

...როგორც გაირკვა, მფრინავებს ტყვედ ...ყოფნის პირველივე დღიდან შეუმუშა... გაქცევის გეგმა, მაგრამ მის ...ზაციას ვერ ახერხებდნენ — „ტა...ბები" მათ საკუთარ თვითმფრინავთან ახლოს არ უშვებდნენ.

დაახლოებით 10 დღის წინ ყანდაგარს ერთ-ერთი ამერიკელი სენატორი ესტუმრა, რომელმაც დაითანხმა „ტალიბები" თვითმფრინავისთვის პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარებაზე. მფრინავები ვითომ არემონტებდნენ საჰაერო ხომალდს, სინამდვილეში კი დროს წელავდნენ და გაქცევისთვის ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ. ასეთი მომენტიც დადგა და ეკიპაჟმა ირანის ტერიტორიაზე გაელით გაფრენა-გაქცევა მოახერხა.

როგორც პრესკონფერენციაზე გაირკვა, რუსეთის მთავრობას რამდენიმე მილიონი დოლარი გამოუყვია ტყვედ ჩავარდნილთა გამოსასყიდად. ეს თანხა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არაბეთის გაერთიანებული საემიროს დედაქალაქ აბუ-დაბიში ინახებოდა, მფრინავებთან ერთად რუსეთში „დაბრუნდა".

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ რუს მფრინავებს პრეზიდენტი ბორის ელცინი მიიღებს და მათ სამთავრობო ჯილდოებს გადასცემს.

## რუსული საჰაერო ლაინერის ავიაკატასტროფა

გუშინ ღამით, ბელგრადის მახლობლად, კატასტროფა განიცადა რუსეთის სატრანსპორტო თვითმფრინავმა „ИЛ-76"-მა. იგი იუგოსლავიიდან მალტაში მიფრინავდა. ჰაერში აფრენიდან 20 წუთის შემდეგ მასთან რადიოკავშირი გაწყდა. თვითმფრინავის ეკიპაჟმა, საწვავის დაცლის შემდეგ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, კვლავ ბელგრადის აეროპორტში დამჯდარიყო, მაგრამ ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით, საჰაერო ხომალდი დასაფრენ ზოლზე დაფრენამდე, ჰაერშივე აფეთქდა.

წინასწარი მონაცემებით, ეკიპაჟის 10 წევრი და ტვირთის 2 გამცილებელი დაიღუპა.

## უკრაინა— ხიდი რუსეთსა და ევროპას შორის

...უკრაინა, შეიძლება ითქვას, ...დღროვე მსოფლიო პოლი... ყურადღების ცენტრშია, ...ყუთრებით მას შემდეგ, რაც ...ში ნაციონალიზმისკენ ...რი შემობრუნება შეიმჩნე... დიდი ქვეყნის სტატუსის ...თა და სსრკ-ს აღდგენის ...შეპყრობილი რუს პოლი...თა დიდი ნაწილი უკრაი... საკუთარი გეგმის განხორ...ების გასაღებად მიიჩნევს. ... პრეზიდენტმა ელცინმა ბე...რამ ისესხა ნაციონალისტე...ბ, გადააყენა დასავლური ...ენტაციის საგარეო საქმეთა ...სტრი კოზირევი, მკაცრად ...ორდა ჩეჩენ მეამბოხეებს, ...რმა კავშირი ბელარუსთან ...ამ. ასე რომ, უკრაინას ...დ გაუჭირდება დემოკრა... და თავისუფალი ბაზრის... მიმავალ გზაზე. არადა, ...კონტინენტზე სტაბილურობის ...რჩუნების საქმეში ეს ქვეყანა ... მდებარეობით, რესურსე... პოტენციალით მნიშვნელო...როლს ასრულებს. უკრაინას ... მიზეზი აქვს საიმისოდ, ...ეჭვი შეიტანოს მის მიმართ ...ის კეთილგანწყობილებაში ...რუსეთმა უარი თქვა უკრა...ან საზღვრების დასაზუს...დ მოლაპარაკებების ჩატა...ზე, სახელმწიფო სათათბი...არ გააუქმა გადაწყვეტილე... სევასტოპოლის რუსულ ქა... გამოცხადების შესახებ, ...რომელიც 1993 წელს იქნა მი...ღ. ძალაში რჩება, აგრეთ... გადაწყვეტილება უკრაინის... ყირიმის გადაცემის მიზან...წონილობის შესახებ. ბევრ ... მიაჩნია, რომ არა თავად ...ნელები, არამედ მათი ლი...ბი არიან დამნაშავენი იმა...ში, რომ რუსეთსა და უკრაინას ...ის არ არის მჭიდრო ურთი...ბა, პოლიტიკურ-ეკონომი... კავშირზე ხომ ლაპარაკიც ...ტია.

...რაც შეეხება უკრაინის რუ...ეთზე დამოკიდებულებას, ...თვის მეზობელთან ნორმა... ურთიერთობა ჰქონდეს, ... მისი გავლენის ქვეშ ... არ უნდა. რუსეთის ...ულმა ქმედებებმა, შესაძ... უკრაინაში სამოქალაქო ... კი გამოიწვიოს, რასაც ...ელთა დიდი ნაკადი და ...გიური კატასტროფები ...ბა.

...დასავლელი მიმომხილველთა ... უკრაინის ახლანდელმა ...ტმა კუჩმამ წარმატე... თავი ეკონომიკურ ... თავის ქვეყანას ... პირობები, რომ ... ევროპის ქვეყნების ... ცხლისუნარიანი ...ნას. კუჩმამ, რუ... ...ური ურთიერ... ...რუნების პარალე... უკრაინის ევროპასთან ... საკითხზეც ბევრი ... მომდე პრორუსულად ... კუჩმა, დასავლე... ...რად და გასახარად, პრეზიდენტად გახდომის შემდეგ უკრაინის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დამცველად იქცა. უკრაინამ უჩვენა მსოფლიოს, რომ მას შეუძლია უწინდელივით ევროპის ბელლად იქცეს. საერთოდ, უკრაინის ვაჭრობა დასავლეთთან 1995 წელს 40%-ით გაიზარდა.

კუჩმამ, ფაქტობრივად, გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი უკრაინა და მოსპო არასტაბილურობის საშიშროება.

თუმცა, პრობლემები მაინც მრავლადაა, ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე ხშირად გადამწყვეტ გავლენას ჯგუფურ-კორპორაციული ინტერესები ახდენს. სერიოზულ პრობლემად რჩება კორუფცია, მაგრამ მას აქ ნაკლებსაშიში ხასიათი აქვს, ვიდრე რუსეთში. სირთულეებია პრივატიზაციასთან დაკავშირებითაც, რის გამოც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა „სთენდ ბაის" მე-4 ტრანში გადაუვადა უკრაინას. ახალი უკრაინული ბიზნესის ელიტის დიდი ნაწილი „პარაზიტობს" და გულგრილობას იჩენს უკრაინაში ინვესტიციების მოზიდვის მიმართ, მაშინ, როცა უკრაინას უცხოური ინექციები ძალიან სჭირდება. კუჩმას თქმით, ქვეყანას 40 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ესაჭიროება, მაგრამ 1992-95 წწ.-ში ქვეყანამ უცხოური ინვესტიციები მხოლოდ 750 მილიონი დოლარის ოდენობით მიიღო. 1994 წელს უკრაინაში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ერთ სულ მოსახლეზე 12 დოლარი იყო. მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელმა უნგრეთში — 670, ესტონეთში — 298, რუსეთში — 27 დოლარს მიაღწია.

უკრაინამ მთელი რიგი ღონისძიებები უნდა გაატაროს დასავლური ინვესტიციების მიზიდვის დასაჩქარებლად. ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, საბანკო სექტორის რეფორმა, კაპიტალის ბაზრის განვითარება და სხვ.

დიდი პრობლემებია ენერგეტიკაში, სადაც მთავარი საკითხია რუსეთზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა ყირიმის კონფლიქტის მოგვარებას, რაც რამდენიმე წლის წინ მეტად რთული ჩანდა. უკრაინამ კი ეროვნული უმცირესობების მიმართ დიდი კეთილგანწყობა გამოამჟღავნა. უკრაინა პირველი სახელმწიფოა დსთ-ში, სადაც მშვიდობიანად შეიცვალა პრეზიდენტი, არ ყოფილა სამოქალაქო ომი. ასე რომ, უკრაინა ბევრ საკითხში „სამაგალითოა", ამიტომაც ის დსთ-ში, მოლდოვას შემდეგ, რიგით მეორე ქვეყანაა, რომელიც ევროსაბჭოში მიიღეს.

თუმცა, მემარცხენეებთან პრეზიდენტის მუდმივი ბრძოლის გამო, ზოგიერთი დამკვირვებელი უკრაინაში პოლიტიკურ სიტუაციას მერყევად მიიჩნევს. მაღაროელთა გაფიცვების, რელიგიური დაძაბულობის პირობებში, კუჩმას მოწინააღმდეგეებს სოციალური მღელვარების აზვირთება შეუძლიათ.

საერთოდ, უკრაინის პრობლემების უმეტესობა ერის ერთიანობის სისუსტითაა გამოწვეული. ქვეყნის დიდი ფართობი, კულტურული განსხვავებები, სახელმწიფოებრიობის მყიფე ტრადიცია, გადამწყვეტ გავლენას ახდენს სტაბილიზაციის პროცესზე.

1991 წლამდე დასავლეთი უკრაინის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო, 1992-1993 წწ.-ში კი მთლიანად რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე თვალყურის დევნებით იყო დაკავებული. დასავლეთისგან იგნორირებულ უკრაინელ პოლიტიკოსებს ბირთვული განიარაღებისა და ეკონომიკური რეფორმების საკითხებზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღება უჭირდათ. დასავლეთის ყურადღების კონცენტრირება რუსეთზე კიევში საფრთხის შეგრძნებას აღვივებდა და ძაბავდა უკრაინულ-რუსულ ურთიერთობებს.

ყირინოვსკის გამოსვლებმა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს და დიდი სახელმწიფოს სტატუსისკენ რუსეთის ლტოლვამ პირველი სიგნალი მისცა დასავლეთს. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, მ.რიფკინდის თქმით, უკრაინა „ევროპის სტრატეგიული ღერძია", რომელიც კონტინენტის მომავალ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას განსაზღვრავს. აშშ დამოუკიდებელ, თავისუფალ უკრაინას დიდ ადგილს უთმობს თავის სტრატეგიულ ინტერესთა შორის. თვით რუსოფილური საფრანგეთიც კი, სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს უკრაინას.

განსაკუთრებული ზეგავლენა უკრაინისკენ შემობრუნებაში ატომურ იარაღზე უარის თქმამ იქონია. ამის სანაცვლოდ უკრაინამ ფინანსური დახმარება მიიღო. აშშ-ს ინვესტიციებმა უკრაინაში 1992 წლის შემდეგ 202,8 მლნ. დოლარი, გერმანიისამ კი — 129,6 მლნ. დოლარი შეადგინა. უკრაინა ევროკავშირთან ურთიერთობაში განსაკუთრებული ხელშეწყობის რეჟიმით სარგებლობს.

დასავლელ მიმომხილველთა აზრით, უკრაინის მომავალი ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაციაში უნდა ვეძებოთ. დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომისკენ უკრაინის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს დასავლეთის მხარდაჭერა უნდა მოსდევდეს. დასავლეთს შეუძლია ხელი შეუწყოს უკრაინის უსაფრთხოებას და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დახმარებით ნეიტრალიტეტის გარანტიები მისცეს ამ სახელმწიფოს, შესაძლებელია, აგრეთვე, ხელშეწყობა, ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტაშიც. მაგალითად, ოდესაში ნავთობის პორტის აშენება (რაც ამჟამად ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობის გამო ფერხდება) უკრაინას ახლო აღმოსავლეთის ნავთობისკენ გაუხსნიდა გზას.

როგორც ჩანს, მოსკოვმა უნდა სძლიოს თავის თავს და აღიაროს, რომ უკრაინას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს რუსეთის განვითარებისა და ევროპაში სტაბილურობის შენარჩუნების პროცესში. თუ რუსეთი უკრაინასთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ცხოვრებას ისწავლის, იგი შეიძლება, მოდელი გახდეს თვით რუსეთის განვითარებისთვის. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, როგორ პოლიტიკურ და სამხედრო კავშირად გადაიქცევა დსთ — იქნება მოსკოვის კონტროლის ქვეშ, თუ ისეთივე ეკონომიკურ კავშირად დარჩება, როგორიც ახლაა. ამ მხრივ, ბელარუსის რუსეთთან შერწყმის ტენდენციის პირობებში, უკრაინის პოზიციის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. დასავლეთმა ხელი უნდა შეუწყოს უკრაინის კოოპერაციას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან, მის შეერთებას ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან და ზოგადად რომ ვთქვათ, უკრაინა რუსეთ-ევროპას შორის ხიდად უნდა გადაიქცეს.

„Foreign Affairs" მიხედვით
მოამზადა

ვახტანგ კობალაძე

---

ჟურნალისტის სვეტი

ბიორბი ასანიშვილი



## «უწყინარი» კონფლიქტები

ეთნოკონფლიქტები, სიმწვავის ხარისხის მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ყველაზე პროგნოზირებადი და შედარებით ადვილად დასარეგულირებელი ის კატეგორიაა, რომელშიც ჩანასახოვან მდგომარეობაში ან ხანყის სტადიაში მყოფი კონფლიქტები შედიან. ერთი შეხედვით, „უწყინარი ხასიათის" მიუხედავად, ისინი უკვე თავისთავად შეიცავენ საფრთხეს — „გაჩაღდნენ" მთელი ძალით, თუ დროულად არ მოიძებნა მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზები.

ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები და თავისებურებანი განვიხილოთ კვებეკის პროვინციის და ესპანეთის მაგალითზე.

კვებეკის ფრანგულენოვანმა პროვინციამ „ინგლისური" კანადიდან გამოყოფის საკითხი მეოთხედი საუკუნის წინ წამოჭრა. ეს კონფლიქტი განსაკუთრებით ბოლო 15 წლის მანძილზე გამწვავდა. 1980 წელს პროვინციაში ჩატარებულ რეფერენდუმზე სეპარატისტულმა ძალებმა მარცხი განიცადეს და ბევრმა მიიჩნია, რომ ეს პრობლემა (კანადის ფედერაციული სახელმწიფოდან კვებეკის გასვლა) ისტორიას ჩაბარდა. მაგრამ უკვე 1982 წელს კვებეკი ქვეყანაში ერთადერთი პროვინცია აღმოჩნდა, რომელმაც უარი განაცხადა, ხელი მოეწერა საკონსტიტუციო აქტზე. მართალია, 1987 წელს მიჩ-ლეიკში მაინც დაიდო შეთანხმება პროვინციასა და ფედერალურ მთავრობას შორის, რომელიც კვებეკის ავტონომიური უფლებების გაფართოებას ითვალისწინებდა, მაგრამ სეპარატისტებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მათ რეფერენდუმზე კვლავ „გამოაჭენეს" კანადის გახლეჩის „იდეა". ულტრანაციონალისტთა ეს ავანტიურაც ჩაიშალა, მაგრამ მისმა შედეგმა საკმაოდ შეაფიქრიანა ფედერალური ხელისუფლება — კვებეკელ „პატრიოტებს" სულ ცოტა დააკლდათ მიზნის მიღწევამდე...

რაც დრო გადის, თანდათან იზრდება იმ კვებეკელთა რიცხვი, რომელთაც უნდათ, თავიანთი პროვინცია დამოუკიდებელი იხილონ, მაშინ, როდესაც კანადელთა უმრავლესობას (რა თქმა უნდა, კვებეკელთა გამოკლებით) არ სურს „ურჩი პროვინციის" სუვერენიზაციის უმაღლესი ხარისხი. თუმცა, ამავე დროს, კანადაში კატეგორიულად უარყოფენ ძალდატანებას, როგორც საკითხის გადაწყვეტის საშუალებას. თავის მხრივ, კვებეკელთა აბსოლუტური უმრავლესობაც უარყოფს ძალადობას, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას.

დღეისთვის არსებობს საკითხის რეგულირების სამი ალტერნატიული ფორმა: 1) კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რომელიც კვებეკისთვის „განსაკუთრებული სტატუსის" მინიჭებას ითვალისწინებს; 2) ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც კვებეკს ეკონომიკურ სუვერენიტეტს მიანიჭებს, მაგრამ შეუნარჩუნებს პოლიტიკურ კონფედერაციას კანადასთან; 3) სრული გამოყოფა.

თითქმის ანალოგიური პრობლემები აწუხებთ დღეს ესპანეთის ხელისუფალთაც, მით უმეტეს, „ურჩი პროვინციების" რიცხვი, კანადასთან შედარებით, აქ გაცილებით მეტია.

დემოკრატიზაციის პროცესმა, რომელიც ესპანეთში გენერალისიმუს ფრანკოს სიკვდილის შემდეგ დაიწყო, ქვეყნის რიგ პროვინციებში ავტონომიის მიღებისთვის მძლავრი მოძრაობა გამოიწვია. მან ყველაზე დიდ მასშტაბებს ბასკეთსა და კატალონიაში მიაღწია (ხელისუფლებაში ფრანკოს მოსვლამდე ორივეს ავტონომიის სტატუსი გააჩნდათ).

1979-80 წლებში ბასკებმა და კატალონიელებმა კვლავ დაიბრუნეს საკუთარი პარლამენტის შექმნის პატივი. მალე სხვა ისტორიულმა პროვინციებმაც — ანდალუზიამ და გალისიამაც დაიბრუნეს ფრანკოს მმართველობის წლებში დაკარგული ავტონომიის უფლება. ასეთივე სტატუსი მიიღეს სხვა პროვინციებმაც, რომლებიც ადრე ამაზე ვერც კი იოცნებებდნენ.

უკანასკნელ პერიოდამდე მადრიდის და ავტონომიების ხელისუფალნი ასე თუ ისე კმაყოფილნი იყვნენ არსებული მდგომარეობით და ერთმანეთის მიმართ დიდი პრეტენზიები არ გააჩნდათ. მაგრამ ბოლო დროს ერთიანი ესპანეთის შენობას ბზარები გაუჩნდა. მაგრამ, მოდით, ეს ჩვენი მომავალი კვირის საუბრის საგანი იყოს.

ჩეჩნეთი

# ფეხშიშველი, ტანთგახდილი, მოტყუებული

ჭანცგანწყვეტამდე დაღლილმა სამხედრო ქირურგმა, რომელიც ჰოსპიტალში შემხვდა, მითხრა, რომ ერთ ღამეში 260 „ჩეჩენი" პაციენტი მიიღო. ბევრი მათგანი, როგორც ჩანს, შემდგომი მკურნალობის გასავლელად უკვე სხვა ადგილებისკენ მიმავალ გზას ადგას.

შესაკრებ პუნქტთან ისმის ბრძანებები, რომ დაჭრილთა ჩასხდომა იწყება ეისკში, ტვერსა და სხვა ქალაქებში გადასაფრენად.

დაბინტული, დაკოჭლებული, სხვისი გამონაცვლებით ტანთ და ფეხთ შემოსილი ოფიცრები და მეომრები იმედით ტოვებენ ჰოსპიტალის სკვერს: ადგილობრივი პალატები ზედმეტად გადატვირთულია, სამედიცინო დახმარება კი — მეტად დეფიციტურია. ამაში რომ დამარწმუნონ, მირჩევენ, შევიხედო იოლად დაჭრილთა განყოფილებაში, რომელსაც მხოლოდ ერთი ექიმი ემსახურება. მაგრამ რჩევით სარგებლობას ვერ ვასწრებ. ჩემს გვერდით საიდანღაც გამოჩენილი ჰოსპიტალის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი ერშოვი რისხვით მატყდება თავზე:

— ვინ მოგცათ გადაღების უფლება?

— არ ვიღებ.

— ჩამოართვით ჩვენებები! — პროკურორის ტონით აზუსტებს სამედიცინო „ნაჩალნიკი". და, გამოთქმების შეურჩევლად, თავისი რისხვა ჯერ ჩვენს გვერდით შემთხვევით აღმოჩენილ დაჭრილ ოფიცერზე გადააქვს, რომელმაც რაღაც გადაულაპარაკა კორესპონდენტს, ცოტა მოგვიანებით კი — საკონტროლო გამშვები პუნქტის მორიგეებზე. მე კი პირადად მაძევებს ჰოსპიტალის ტერიტორიიდან, რაღაც აკრძალვის დამოწმებით, რომლის მიხედვითაც, ჰოსპიტალის თანამშრომლებს და პაციენტებს პრესასთან საუბრის უფლება არ აქვთ.

— თქვენი დაწესებულების კარს მიღმაც არ შეიძლება? — ვეკითხები სხაპასხუპით.

— არ შეიძლება! — მოკლედ ამბობს გაბრაზებული პოლკოვნიკი და უმოკლესი გზით გასასვლელისკენ მივყავარ, მაგრამ შემდეგ გაოცებული ჩერდება: — იქ ვისთან უნდა ისაუბროთ?

და აი, ისიც — გროზნოს ბრძოლებში დასახიჩრებული მონაწილეების ერთობლივი მონათხრობი უნიჭო საომარი კამპანიის მიზეზების შესახებ. საუბრისთვის განზრახ მოვიწვიე გამოცდილი ხალხი — ფედერალმეკონტრაქტეები, რომელთა მსჯელობას, ძნელად თუ ვინმე გაბედავს, რომ შიშველი ემოციების ნაყოფი უწოდოს.

ლეიტენანტი **ვლადიმერ ეფრემოვი** — მოტომსროლელთა პოლკის 276-ე ბატარეის მეთაური:

— დღეს ჩვენი ერი საგონებელშია ჩავარდნილი: ნუთუ არმიამ ბრძოლა აღარ იცის? რატომ გვაქვს ასეთი დანაკარგები? დიახ, არმიამ ბრძოლა იცის. მაგალითად, ჩემი ბატარეა მარშზე უკვე სამი წუთის შემდეგ ცეცხლს ხსნიდა. ეს ტანკისტები კი, რომლებიც ახლა დამწვარი და დაბინტულები წვანან, უნდა გენახათ, როგორ ზუსტად არტყამდნენ მიზანში. მაგრამ რატომ გვისვრიან ბოევიკებით გამოტენილი ქალაქის ვიწრო ქუჩებში? ეს აბსურდი კი ზედიზედ უკვე მერამდენედ მეორდება.

სერჟანტი **ოლეგ სუხარევი**, 204-ე პოლკის სადაზვერვო ოცეულის უფროსი:

— 8 აგვისტოს ჩვენი დივიზიონი „შალიდან" გროზნოსთან გადაისროლეს. ჩვენი ვარაუდით, ზოგიერთ მიზანზე აქედან ვიმუშავებდით, ჩვენი თვითმავალი საარტილერიო დანადგარების სროლის მანძილი ხომ საკმაოდ დიდია — 17 კილომეტრს აღწევს. მაგრამ ერთი დღის შემდეგ შატოიში გადაადგილების ბრძანება მოდის. მწყობრში ვდგებით და რატომღაც გროზნოსკენ მივდივართ. ალბათ, გზადაგზა მეთაურმა ახალი ბრძანება მიიღო. ბოევიკებმა მინუტკას მოედნამდე მიგვიშვეს და შემდეგ მაღალი სახლებიდან ძლიერი ცეცხლი დაგვიშინეს. ვხედავ: კოლონა თავშიც და ბოლოშიც იწვის. ვცდილობთ სროლით მოგერიებას. მაგრამ ჩეჩენი სნაიპერები ფხიზლად მუშაობენ — მოედანზე ყველა წერტილი მიზანშია ამოღებული.

კაპიტანი **სერგეიმონეტოვი**, 506-ეპოლკისსადაზვერვოასეულის მეთაური:

— ეს ჩვენ დიდი სამამულო ომიდან მოგვდგამს — მიაწვე და რაოდენობით გაიტანო. მაშინ ბრძოლის ველზე დივიზიებს ისროდნენ და დანაკარგებს არად დაგიდევდნენ, ახლა პოლკებს და ბრიგადებს ისვრიან. ჩვენი პოლკი ვედენოდან ჩამოვიდა. მხოლოდ ნახევარი საათი დაჰყო ხანკალაში და გროზნოში გაიგზავნა. ხეირიანად ქუჩებს არავინ იცნობდა. ჩემს უკან 30 კაცი მოდიოდა. ხანკალაში მითხრეს, რომ ქალაქზე ტექნიკით წავიდოდით, მაგრამ მე ბიჭებს ვუბრძანე, ჩამოქვეითებულიყვნენ და ორ ჯგუფად გაყოფილები, ქუჩის სხვადასხვა მხარეს ფეხით გაყოლოდნენ გზას. სწორედ ამან გადაგვარჩინა. მხოლოდ ხუთი ადამიანი დაგვეჭრა. ბოევიკებისთვის უსარგებლო და არცთუ უხიფათოა თითო-თითო ფეხით მოსიარულესთვის ყუმბარმტყორცნიდან სროლა.

ზემდეგი **ოლეგკარმანოვი**, 204-ე პოლკი:

— უმეტესად, ქვედანაყოფის მეთაურს არჩევანი არ ჰქონდა, რადგან მაღალი ჩინის სამხედრო მეთაურები ბრძანებას იძლეოდნენ, რომ ნებისმიერი დანაკარგის ფასად და თანაც სასწრაფოდ გავჭრილიყავით ქალაქის ცენტრისკენ.

ამის შედეგად, ყბადაღებული დერეფანი მაინც ვერ იქცა უსაფრთხოების დერეფნად. როდესაც მე თერთმეტ დაჭრილთან ერთად ქალაქის ცენტრიდან გამოვყავდი, ჩვენ კიდევ ორჯერ მოვყევით ჩეჩნების ყუმბარმტყორცნების მიზანში. ესეც თქვენი დერეფანი! ასეთი ქალაქი პატარა საშტურმო ჯგუფებით, უბან-უბან წმენდით და იქ ბლოკპოსტების დაყენებით უნდა აიღო. ნუთუ ჩვენმა სამხედრო მეთაურებმა ეს ვერ შეიგნეს?

რიგითი **იგორგრუშკა**, 276-ე პოლკი:

— როდესაც ჩვენი კოლონა გროზნოში შედიოდა, ბლოკსაგუშაგოებიდან ჩვენივე მედესანტეებმა დაიწყეს ჩვენი დაცხრილვა. 20 წუთის ბრძოლის შემდეგ მათ რამდენიმე მებრძოლი დაეღუპათ, დაჭრილები კი ჩვენც გვყავდა და მათაც. შემდეგ ბლოკსაგუშაგოზე ვიღაცამ უფროსობასთან დაკავშირება მოისაზრა, შეიტყო, რომ ჩვენს პოლკს უნდა გაევლო და გაუშვა სასიგნალო რაკეტა — „ჩვენიანები".

ნუთუ თავად ხელმძღვანელობას არ უნდა ეზრუნა და წინასწარ არ უნდა ეცნობებინა მათთვის?

**ოლეგ კარმანოვი:**

— ახლანდელ ბრძოლებს გროზნოში ვიღაც ექსტრემალურ სიტუაციას უწოდებს. თუმცა, რა არის ამაში ექსტრემალური, თუ ბოევიკებმა წინასწარ მიმოფანტეს მოსახლეობისადმი მოწოდების ფურცლები, დაეტოვებინათ ქალაქი.

მსგავსი არეულ-დარეულობა ჯარების ხელმძღვანელობაში ადრეც ხომ იყო. ჩვენი პოლკის მეთაური საზრიანი კაცია, მაგრამ ისე სწრაფ-სწრაფად უცვლიდნენ დავალებებს და ეს დავალებები თავისთავადაც ისეთი ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, რომ პოლკის მეთაური ხანდახან გამოგვიტყდებოდა ხოლმე: „თვითონაც არ ვიცი, საით უნდა წახვიდეთ, მთებში წადით, წმენდას მიჰყევით ხელიო". მთელი თვე მთებზე დავძვრებოდით, ვერავინ აღმოვაჩინეთ, ამასობაში ბოევიკები კი, მშვიდობიან მოსახლეობად თავს ასაღებდნენ და გროზნო აიღეს.

**სერგეი მონეტოვი:**

— ჩვენ დღემდე 1984 წლის რუკებით ვმოქმედებთ. ამ ხნის განმავლობაში კი რესპუბლიკაში ბევრი რამ შეიცვალა: გზები ჩაიხერგა, ბილიკები კი საავტომობილო გზებად იქცა. ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით. ბრმა კნუტებივით აქეთ-იქით ვაწყდებით და, საბოლოოდ, ალყაში ვხვდებით. სად არის ჩვენი შეიარაღებული ძალების ნაქები ტოპოსამსახური?

**ოლეგ კარმანოვი:**

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხელისუფლებამ არმია გადაისროლა ჩეჩნეთში და... დაივიწყა. ნახეთ, ფეხზე რა მაცვია: ნახმარი სამოქალაქო ბათინკები. რასაც ვპოულობთ, ის გვაცვია. ესენი გროზნოს ერთ-ერთ ბინაში აღმოვაჩინე, ალყაში რომ ვისხედით. არმიული ჩექმა ისე დამეხა, რომ ლანჩას მავთულით ვამაგრებდი. ახალს კი არ გვაძლევენ, რადგან სამოსს მშვიდობიანი დროის ნორმით გვიცვლიან.

კაპიტანი **სერგეი შაპგინი**, მოტომსროლელი ასეულის 166-ე ბრიგადისმეთაური:

— ყოველი ჩვენთაგანი ჭრელა-ჭრულებშია გამოწყობილი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ სამშობლომ გამოგვაწყო ასე, ნაწილობრივ — თვითშემოქმედებას აქვს ადგილი. მე თვითონაც მთებში „ბოტასებით" დავდიოდი, ეს უკეთესია, ვიდრე ჩექმა 30-გრადუსიან სიცხეში. საერთოდ, ჩვენს მრეწველობას შესწევს იმის უნარი, რომ მოხერხებული და ხარისხიანი სამოსი მოგვიმზადოს. ამერიკელებზე უარესი შესახედავები არ ვიქნებოდით და უფრო სწრაფადაც ვიმოძრავებდით. დიდი სიამოვნებით ვატარებდი ამერიკულ ბათინკებს. მაგრამ, სად იშოვება ისინი? — მოსკოვის მაღაზიებში. რატომ ხდება, რომ ბრძოლაში შეუცვლელი ტყვიაწამლის ჩასაწყობი სარტყელი მხოლოდ სავაჭრო დახლებზე გვინახავს. მეომრები იძულებულნი არიან, თავად შეიკერონ ან შეიძინონ ტანისამოსი. ჩვეულებრივ, ჩეჩნეთში ჯარისკაცებს ძველი ყაიდის ფორმა აცვიათ.

**სერგეი მონეტოვი:**

— რაკი არმია ასეთი ღატაკია, ქვეყნის ხელმძღვანელობა სამართლიანად უნდა მოიქცეს: პირველ რიგში იმ ჯარების მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს, რომლებიც იბრძვიან ჩეჩნეთში, სადაც ყველაზე მეტი სირთულეა. ჭირჭირობით, პირიქით ხდება: შესანიშნავად არიან გამოწყობილი კანტემიროვის და ტამანის ელიტარული დივიზიები მოსკოვის შორიახლოს, ჩვენ კი ჩამოგლეჯილებით დავდივართ. ჩეჩნეთში მეომრებისთვის გამოგზავნილი პრეზიდენტის საარჩევნო საჩუქარიც კი — კონსერვებით, სიგარეტებით და ტკბილეულობით სავსე ყუთი — ყველას არ შეხვდა. მიიღეს მათ, ვინც ხანკალასთან უფრო ახლოს იყო. ვინც მთაში იბრძოდა, დარჩა ხახამშრალი, თავისი უბადრუკი „სადილით" — კილკა ტომატის წვენში და „ტუშონკა".

**სერგეი შაპგინი:**

— ბოევიკები ხშირად ჩვენზე უკეთ არიან ეკიპირებული და ჩვენთან შესახვედრად, არცთუ იშვიათად, „ვოლგებით" და „ტოიოტებით" გამოდიან. ეს გასაგებიცაა, ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი მათ უკეთ ამარაგებს. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, იმ თანხის ნახევარი, რაც ჩეჩნეთის აღსადგენადაა გამოყოფილი, ბოევიკებთან ხვდება. მათ მოსახლეობაც ეხმარება. ჩვენს ჩაცმაში კი, რა თქმა უნდა, არის უდისციპლინობის ელემენტები. ვამბობთ, რომ თავსაფარი მოსახერხებელია — ოფლი თვალებში აღარ ჩაგდის. ამერიკელი ჯარისკაცი კი, სიცხის მიუხედავად, ჩაჩქანს ატარებს. თუ თავში დაჭრეს და ჩაჩქანს ამის კვალი არ ეტყობა, დაზღვევის თანხას ვერ მიიღებს.

**იგორ გრუშკა:**

— ჯანდაბას, იყოს ძველი ყაიდის ფორმა, თუმცა, ეს სამარცხვინოა. პოლკის დისლოკაციის ადგილზე ასაწყობი სახლები, პატარა ვაგონები მაინც დადგან, რომ დაბანა და ტილების მოშორება შეგვეძლოს. თორემ საღამოს კარავში ერთ ადგილას რომ ვიძინებთ, დილით სულ სხვა ადგილზე გვეღვიძება — „ბეტეერმა" (როგორც აქ ტილებს უწოდებენ) გადაგვათრიეს. სხვათა შორის, ეს ტილები თეთრეულთან ერთად ხანკალიდან შემოჰყავთ.

უფროსი სერჟანტი **ალექსეი ეროფეევი**, ტანკის მექანიკოსმძღოლი, 206-ე პოლკი:

— მე ერთადერთი ვარ აქ, ვისაც ჭრილობა არა აქვს, ჩირქოვანი მუწუკებით მომიყვანეს. პოლკის სამედიცინო სანიტარული ნაწილი ცარიელია: არც სახვევი, არც ვიშნევსკის მალამო, არც პენიცილინი. არავითარი მკურნალობა. ჩემი დამუწუკება იქამდე გართულდა, რომ ექიმმა ევაკუაციისთვის გამამწესა.

**ვლადიმერ ეფრემოვი:**

— აქაც არ გველოდნენ. სახვევი მასალა პრობლემაა, რენტგენის ფირებიც. ერთჯერად შპრიცებს ჩვენ თვითონ ვყიდულობთ კომერციულ ჯიხურებში. მაგრამ აქ ექიმმა ის მაინც მითხრა, რომ მუცლის არეში ჩემი ჭრილობის პატრონს, ჭამა და სმა არ მეკრძალება. აქ გამომგზავრებამდე ხანკალაში ერთი დღე-ღამე ისე ვიწექი, ექიმისგან მკაფიო პასუხი ვერ მივიღე და ლუკმა არ ჩამსვლია პირში.

**სერგეი მონეტოვი:**

— ყველაფრის მიუხედავად, გამოწერისთანავე უმრავლესობა ჩეჩნეთში დაბრუნდება, თუმცა, ჭრილობები შვებულების უფლებას გვაძლევს. იმიტომ კი არ დავბრუნდებით, რომ სისხლი გვწყურია, უბრალოდ, ჩვენს მეგობრებს იქ ჩვენს გარეშე უჭირთ. კარგად გვესმის, რომ ეს ომი წამოწყებულია, როგორც კომერციული და, შესაბამისად, უსასრულო. და ასეთადვე დარჩება, ვიდრე თუნდაც ერთი რუსული პოლკი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე იქნება განლაგებული. ჩეჩნეთს დამოუკიდებლობა სურს. ჩვენ აქაურობა უნდა დავტოვოთ.

**ნიკოლოზ გრიტჩინი**

**„იზვესტია"**

## ვანდალური აქტი ჩეჩნეთში

რუსეთის ფედერაციის შინაგა-
ნი ჯარების სპეცდანაყოფებმა, 18
აგვისტოს ღამით, ქ. გროზნოში
ლინინის ქუჩაზე მცხოვრები მშვი-
დობიანი მოსახლეობის მიმართ
იდინეს სისხლიანი ქმედებები.

აღნიშნული ჯარების პირველ-
მა ასეულმა, რომელიც, წინასწარი
მონაცემებით, მორდოვეთის რეს-
პუბლიკიდან ჩამოვიდა, მოკლა 15
მშვიდობიანი მოსახლე, 20 კი მძევ-
ლად აიყვანა და გაურკვეველი მი-
მართულებით წაიყვანა. მოკლუ-
ლები მხეცურად იყვნენ ნაწამები.
მათ მოაჭრეს თავები, ყურები, და-
თხარეს თვალები. 5 ბავშვი, მათ
შორის ერთი გოგონა ცოცხლად
დაგლიჯეს ძაღლებმა, რომლებიც
მათ რუსმა სადისტებმა მიუქსიეს.
ყველაფერი ეს ხდებოდა ხელებშე-
და ბოძებზე მიბმული მათი მშობე-
ლების თვალწინ.

გროზნოს ოპერაციების სარდ-
ლობა ჩეჩნეთში მყოფი რუსეთის
სარდლობისგან მოითხოვს დამნა-
შავეთა გადაცემას ყოველგვარი წი-
ნასწარი პირობების გარეშე. ისინი
ასევე ითხოვენ პირველი ასეულის
გადაცემას სრული შემადგენლო-
ბით, რათა მათზე სამართლიანი
იძიონ შური. წინააღმდეგ შემთხ-
ვაში, ჩეჩნები იტოვებენ უფლებას
ყველანაირ ღონეს მიმართონ მათ
შესაპყრობად და ზემოაღნიშნულ
დამნაშავეთა, ასევე რუსეთის ფე-
დერაციის შინაგანი ჯარების ნებ-
მიერი წარმომადგენლის სასამარ-
ლოსთვის გადასაცემად.

გროზნოს ოპერაციების სარდ-
ლობა ოფიციალურად აცხადებს,
რომ 7 ათასმა ჩეჩენმა მებრძოლმა
ფიცი დადო ალაჰის წინაშე, რომ
სამაგიეროს გადაუხდიან რუსეთის
ბანდფორმირებების და მორდოვე-
თის ომონი-ს ბატალიონის პირვე-
ლი ასეულის მებრძოლებს. გაუ-
ტენ მათ ოჯახებს და ნათესავებს.

**იჩრინე**

## გროზნო ზონებად დაიყო



ჩეჩნეთის პრორუსული ადმი-
ნისტრაციის მეთაური დოკუ
ვგაევი გუშინ მოსკოვში ჩავიდა
მას განზრახული აქვს, შეხვდეს
პრემიერმინისტრ ვიქტორ ჩერ-
ნომირდინს და უშიშროების საბ-
ჭოს მდივანს ალექსანდრე ლე-
ბედს. თავად ჩეჩნეთში კი შედა-
რებით მშვიდი ვითარებაა.
რას დასახლებულ პუნქტ
ატაგიში გაიმართა ფედერალ
ძალების ხელმძღვანელობისა
შეიარაღებული ოპოზიციის წარ-
მომადგენელთა შეხვედრა.

ამ უკანასკნელთ გადა-
ბრძანება საბრძოლო მოქმედე-
ბის შეწყვეტისა და გროზნ
„პასუხისმგებლობის ზონებად"
ყოფის შესახებ, რომელსაც რ
ლმა მხარემ უკვე მოაწერა

„კავკასიონი"

# 13 აგვისტო (ახლ.26 აგვისტო)

# მაქსიმე აღმსარებელი

ღირსმა მამამ მაქსიმემ (580-
აღმსარებლის, არა მოწამის,
დაიმკვიდრა ქრისტიანო-
ისტორიაში, თუმცა მან
წამება ამ სიტყვის
მნიშვნელობით — მას
ენა, რომ არ ექა-
მოკვეთეს მარჯვენა, რომ
ეწერა ჭეშმარიტება. იგი
და ცოცხალი დარჩა.
არის ის მხოლოდ
რებელი.
დევნილნი, მოწამენი და აღ-
ბელნი მრავლად იყვნენ
ტიანობის იმპერიის რელი-
გამოცხადებამდე. მაგრამ
ლების, მოწამეობისა და
რებლობის პირობები დარ-
ამ ისტორიული აქტის
ქრისტე ამბობდა, რომ
ლნი დაბრკოლდებოდნენ
გამო. ის იმასაც ამბობდა,
მის მიმდევრებს მოუხდე-
მისი ჭეშმარიტების და-
და ამის გამო იქნებო-
დევნილნი. მაცხოვარს არ
მას, რომ ოდესმე ამ
სოფელში შეწყდებოდა გა-
ლი. ქრისტიანები ყოველი
დევნილისთვის მზად უნდა
იყვნენ.
მაქსიმე, აღმსარებლად წო-
ლი, მაშინ გამოჩნდა, როცა
სავლეთ და დასავლეთ სა-
ტიანოში (ბიზანტიასა და
) ეკლესიას უხდებოდა
ტი სარწმუნოების დაცვა
მწვალებლობისგან —
თელიტობისგან, რომელიც
არაფერი იყო, თუ არა
ლება თუ განგრძობა-
რება მონოფიზიტობისა,
ც დაგმო ქალკედონის
კრებამ (451 წ.). თუ
ფიზიტობა ქრისტეში ერთ
ას, მხოლოდ ღვთაებრივს,
ბდა, მონოთელიტობამ
ნება, მხოლოდ ღვთაებ-
აღიარა. არც ერთს, არც
არავითარი საფუძველი
ჰქონდა „წმიდა წერილში,
იესო ქრისტე ავლენს ორ
(თელემა) და ორ მოქმე-
(ენერგეია) — ღვთაებ-
და კაცობრივს, და ისინი
პირისპირდებიან ერთმანეთს
ქრისტე იესოს ცხოვრებაში,
გამოსყიდვის აღმშენებლო-
ქრისტე კაცებრივი ნებით
ჯვარზე და ეგევე იყო
ღვთისა, რომელსაც ატა-
ის. ქრისტე ცრემლს
და ლაზარეს ჭირისუფლებ-
ერთად — ეს მისი
ბური მოქმედება იყო,
იგივე ლაზარე აღადგინა
ურმა ნებამ და მოქმედებამ,
ც მაშინვე იყო. ერთი,
და ღვთიური, ბუნებისა და
აღიარებით ფიქციად უნდა
ბადებულიყო მთელი სახა-
სადაც იესო მოქმედებს,
როგორც ადამიანი — სურს,
შშია, სწყურია, რაღაც
სის, სისხლის ოფლი გა-
შუბლზე. მტანჯველია
ის განსაცდელი, რომელზეც
რომ გარდაუვალია...
ოცა კონსტანტინეპოლის
ეპისკოპოსი, სამღვდელო-
იმპერატორი ახლადმოვლე-
მწვალებლობას უჭერდნენ
ამ მოტივით, რომ ეკლე-
და სახელმწიფოში მშვი-
დამყარებულიყო, ამ ნია-
მომხდარიყო უნია ქალ-
ის კრებაზე ანათემას გა-
ულ მონოფიზიტობასა და
მადიდებლობას შორის,
ერთადერთი იყო ავტო-
ული ღვთისმეტყველებში,
ც მთელი არსებით წინ
ერეს. რაღაც გარდა-
მოხდა ამ ადამიანში,
საც იმპერატორ ჰერაკ-
კარზე მაღალი საერო

თანამდებობა ეჭირა, და არავინ მოელოდა, რომ ის ასე აქტიურად და უკანდაუხევლად ჩაებმებოდა უთანასწორო ბრძოლაში მართლმადიდებლობის დასაცავად, დაუპირისპირდებოდა იმპერატორსაც და პატრიარქსაც. ასეთი შური მას არ გამოუვლენია თავის ცხოვრებაში არც „გუშინ“, არც „გუშინწინ“. შესაძლოა, მას ბრწყინვალე კარიერა ელოდა, მაგრამ მან ყველაფერი მიატოვა, როცა დაინახა, რომ სასახლეც და ეკლესიაც მოიცვა მონოთელიტურმა ერესმა, რომ წმიდა მამების ღვაწლით ძლეული მონოფიზიტობა ახალ ქურქში მოევლინა კათოლიკე ეკლესიას, იქამდე, რომ წმიდა სოფიის ტაძრის ნართექსში გამოფინეს ერთი ნებისა და ერთი ენერგიის მღაღადებელი ქარტია. მან დასტოვა სასახლე, მთელი ქონება ღარიბ-ღატაკთ დაურიგა და ქრიზოპოლისად. წოდებულ მონასტერში ბერად აღიკვეცა. აქ იგი უკიდურეს ასკეტურ ცხოვრებას შეუდგა, თითქოს თავის თავზე იკისრა სასჯელი ყოველი ცოდვისა, რაც ამ ახალ მწვალებლობას მოჰქონდა. ამ ცხოვრებით, ამ მორჩილებით მან ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ მალე მონასტრის წინამძღვარი გახდა. მაგრამ ამ მორჩილებაში უჩინრად, იდუმლად მამხილებელი სული იკვეთებოდა. მონასტრიდან იწყო მან მხილება პატრიარქის და იმპერატორისა და ამ მხილებაში დაიბადა ქრისტეს ორი ნებისა და ორი ენერგიის ღვთისმეტყველი და დაუცხრომელი მქადაგებელი.

და როცა დაინახა, რომ ამაო იყო ყოველი სიტყვა, რომ ჭეშმარიტებას მათთვის საფარველი გადაფარებოდა და რწმენის დოგმატი პოლიტიკის იარაღი გამხდარიყო, მან მიატოვა არა მხოლოდ მონასტერი და სატახტო ქალაქი, არამედ საბერძნეთიც და მიმართა რომის ქვეყანას, რადგან გაეგონა, რომ მუნებურნი მტკიცედ იდგნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და მონოთელიტურ ღვარძლს ახლოს არ იკარებდნენ.

მან მიაშურა აფრიკის უდაბნოს და იქ ერთ გამოქვაბულში განმარტოვდა. მისი ცხოვრება აქ უფრო ასკეტური იყო, ვიდრე ქრიზოპოლისის მონასტერში. იკვებებოდა უდაბნოს ბალახით და ველური თაფლით, როგორც იოანე წინამორბედი. აქ მისი „სული შიშვლად საუბრობდა ღმერთთან“. აქ ღმერთმა იმის ნიშნად, რომ დავიწყებული არ ჰყავდა იგი („როცა უფალი მიგვატოვებს, ყველა მეგობარიც გვტოვებს“, წერდა ის ერთგან), გაუგზავნა მას ამ განდეგილობაში ორი სამღვდელო — პრესვიტერი და დიაკონი, ორივენი სახელად ანასტასი, რომელთაც ბოლოს მასთან ერთად გაიზიარეს დევნილების სიმწარე. ქრისტემ თქვა: „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მ.18,20). ისინი სამნი იყვნენ ამ უდაბნოში და, ჭეშმარიტად, სრული ქრისტე იყო მათ შორის — ძე კაცისა და ძე ღვთისა. ამის შემდეგლა იწყო მან ეპისტოლეების გზავნა საიმედო ხელით რომის მხარის ეპისკოპოსების, მღვდლებისა და ბერ-მონაზვნების მიმართ, ასევე ერისკაცთა მიმართ. მორწმუნეებს საღვთო შურს აღუძრავდა, დაეჭვებულთ რწმენაში განამტკიცებდა.

მაგრამ ესეც არ იყო საკმარისი. აუცილებელი იყო გადამწყვეტი მოქმედება. მას ჰქონდა ხილვა. ღვთის ანგელოზმა გამოუცხადა ღვთიური მხილება: „მაქსიმე, ღვთის მონავ, რისთვის განმარტოებულხარ უდაბნოში და საკუთარი თავისა და შენი ორი მეგობრის ხსნისთვის იღვწი, როცა მთელი სოფელი ბოროტი მწვალებლობისგან შფოთავს? წადი რომში, და იოანე პაპთან ერთად მიიღე ქრისტესაგან აღმსარებლობის გვირგვინი“. ეს უთხრა უფლის ანგელოზმა ხილვაში და მაქსიმემაც დასტოვა უდაბნო და წავიდა რომის ქალაქში, სადაც რომის პაპ იოანესთან ერთად მოიწვია დასავლეთელ ეპისკოპოსთა კრება, რომელმაც დაგმო მონოთელიტობა. წმ.მარტინის პაპობის დროს ის იყო ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ლატერანის კრებისა (649), სადაც წაკითხულ იქნა ხუთი მსოფლიო კრების დოგმატური გადაწყვეტილებანი ახალი მწვალებლობის გასაბათილებლად. ასორმოცდაათი ეპისკოპოსის ხელმოწერილი ოცი ანათემით ამჯერადაც დაიგმო მონოთელიტობა. განკიცხეს აღმოსავლელი მღვდელმთავარნი — პატრიარქები კონსტანტინეპოლისა სერგი, პავლე და პიროსი, და ალექსანდრიელი პატრიარქი (ყოფილი ფაზისელი მიტროპოლიტი) კიროსი.

მაქსიმე თავისი ორი ანასტასით, რომლებიც ასევე ბერძნები იყვნენ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა აღმოსავლეთს, მწვალებლობის ჯანღმორეულ თავის სამშობლოს.

დასავლეთი მტკიცედ იდგა მართლმადიდებლობაზე და იყო ორი ბურჯი — ბერი მაქსიმე და პაპი მარტინი. კონსტანტინეპოლიც „მტკიცედ“ იდგა, იმპერატორის კარის მხარდაჭერით გულმოცემული. რა ძალით შეიძლებოდა მართალი სარწმუნოების „დამარცხება“, რა ბრალი შეეძლოთ დაედოთ მათთვის დოგმატებში ნაკლებად ჩახედული იმპერატორის თვალში? მწვალებლებმა გამოიყენეს ჯერ კიდევ არიანული ბრძოლებისდროინდელი ნაცადი ხერხი — პოლიტიკური დასმენა. პაპ მარტინის იმპერატორის წინააღმდეგ ამბოხში მონაწილეობა დასწამეს, მაქსიმე აფრიკაში მარცხის თანამონაწილედ გამოაცხადეს. მარტინს მიუსაჯეს გადასახლება ხერსონესში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 655 წელს (ხსენების დღე 12 ნოემბერი. მარტინი უკანასკნელი იყო რომის პაპთაგან, რომლის კანონიზაცია მოხდა). მერე მაქსიმეს გაუსწორდნენ. როცა ტკბილი სიტყვებით და დაპირებებით ვერ მოტეხეს, იმპერატორ კონსტანსის სამსჯავროზე წარადგინეს, სადაც მან საკვირველი სულიერი სიმტკიცე აჩვენა. მისი პასუხები, რომლებიც დაკითხვისას გასცა იმპერატორის ხალხს და ეპისკოპოსებს, შემოინახა მისმა „ცხოვრებამ“. „მამხილებელ“ კითხვაზე: „ქრისტიანი ხარ?“ „ღვთის წყალობით“, პასუხობდა ის. „ტყუილია. შენ რომ ქრისტიანი იყო, იმპერატორს არ უარყოფდი“. ამას ეუბნებოდნენ ადამიანს, რომელიც ქრისტესთვის, მისი ჭეშმარიტებისთვის, სწირავდა თავს; იმპერატორით აშინებდნენ ადამიანს, რომელმაც ამხილა იგი, რომ ეშმაკისთვის ჰქონდა მიყიდული თავი. მაქსიმე იმპერატორს, თუმცა ცხებულს, არ მიიჩნევდა ავტორიტეტად რწმენის საკითხში. პროვოკაციულ კითხვაზე „ქრისტიანი იმპერატორი მღვდელიც არ არის?“ ის პასუხობდა: „არ არის“. ამაზე უფრო გაბედული სიტყვებიც მოისმინეს მისგან: „მთელმა მსოფლიომ რომ დაიწყოს დენა პატრიარქთან საზიარებლად, მე არ ვეზიარები მისი ხელიდან“. ის მზად იყო თავისი რწმენის შესანარჩუნებლად გამიჯვნოდა არა მხოლოდ კონსტანტინეპოლის იერარქიას, არამედ ანგელოზებსაც: „ჭეშმარიტად, ზეციური იერარქიაც ვერ მაიძულებს იმის აღიარებას, რასაც მთავაზობთ. რა პასუხს გავცემ, ღმერთზე არაფერს ვამბობ, ჩემს სინდისს, თუ ამაო დიდებისა და ადამიანთა შეხედულებების გამო უარვყავი მხსნელი რწმენა?“

... სამსჯავრომ გაამტყუნა მაქსიმე. მას პირში აფურთხეს, ხარის ძარღვებით სცემეს როგორც მონას, ენა ამოართვეს, მარჯვენა ხელი მოაჭრეს და ასე მოატარეს კონსტანტინეპოლის თორმეტი უბანი. დასახიჩრებული აღმსარებელი თავის ორ ანასტასისთან ერთად გადაასახლეს კავკასიაში. გზიდან და ციხიდან, სადაც ჩასვეს, მოჭრილ ხელზე გამობმული კალმით წერდა წერილებს თავის ერთმორწმუნეთ („ჩვენ გვინახავს ეს წერილებიო“, ვკითხულობთ „ცხოვრებაში“).

ლეჩხუმში, დეხვირის მახლობლად, მურის (ბერძნ.ჰიმარ) ციხეში დატუსაღებულმა 662 წლის 13 აგვისტოს ჰპოვა აღსასრული. სულ რაღაც ორი ათეული წლის შემდეგ მეექვსე მსოფლიო კრებამ (681) პაპ მარტინის და მისი საუკუნო ხსენება გამოაცხადა.

მაქსიმემ მხოლოდ ოთხიოდე თვე დაჰყო თავისი ტყვეობის ადგილზე. მაგრამ ეს ოთხი თვეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მისი სახელი ღრმად ჩაბეჭდილიყო ადგილობრივ მკვიდრთა შეგნებაში.

დღემდე ცაგერის, დეხვირისა და ჩხუტელის საზოგადოებებში შემორჩენილია ანდრეზი წმ.მაქსიმეზე. ვინ იყო, საიდან მოვიდა, რა ტომისა იყო, არავინ იცის. იცოდნენ მხოლოდ, რომ ის წმიდა კაცი ყოფილა და სხვებსაც წმიდა ცხოვრებისკენ მოუწოდებდა. მაქსიმეს სასწაული, როგორც წმიდანისა, ერთ გლეხზე ქარეიშვილ-ჭაბუკიანზე გადატყდა. მას ჩვევად ჰქონია, ღამღამობით სხვის ყანაში შეერეკა თავისი საქონელი და ეძოვებინა. მაქსიმე გამორეკავდა და საჩიხეში დაუმწყვევდა. ქარეიშვილი ყურს არ ათხოვებდა არც შეგონებას, არც გაფრთხილებას. შეგონებით რომ ვერაფერს გახდა, მაქსიმე ერთ დღეს ღრუბლად იქცა და პურის ლეწვისას კალოზე უწვიმა ქარეიშვილს. გამწარებულმა ღრუბელს თოფი ესროლა და მის წინ მკვდარი მაქსიმე დაეცა. მოკლული ჩუმად დამარხა დეხირის ცაცხვებთან, მაგრამ მეორე დღეს მკვდარი ზეზე დახვდა. წაიღო მკვდარი და ცხეთის ეკლესიაზე დამარხა. აქაც იგივე განმეორდა. მერე გამოცხადებია მაქსიმე და უთქვამს: უხედნელი მოზვრები შეაბით ურემში, ზედ დამასვენეთ და ნებაზე გაუშვით მოზვრები, სადაც გაჩერდებიან, იქ დამმარხეთო. ასეც მოიქცნენ. მოზვრები ორბელის წვერზე, მურში მივიდნენ და გაჩერდნენ. აქ დამარხეს მაქსიმეს ცხედარი და ეკლესიაც აშენდა მის სახელზე. დამარხეს თუ არა მაქსიმე, დაუშვა წვიმამ, ველარ. გაშალეს კალო. კვლავ მაქსიმე გამოეცხადა ხალხს და ასწავლა, როგორ მოქცეულიყვნენ, როგორ ელოცათ, როცა უდროო დროს გაწვიმდებოდა. ასე მიეცა დასაბამი რიტუალს, რომელსაც დეხვირისა და მახლობელი სოფლები მართავდნენ დარის გამოსათხოვად წმ.მაქსიმესგან. ამ სოფლების ყოველი კომლიდან ირჩევდნენ თითო დარბაისელ ადამიანს, რომელთაც უნდა ემარხულათ და წმიდად შეენახათ თავი. დანიშნულ დღეს (ორშაბათს ან ხუთშაბათს) ასამდე კაცი, კისერზე ღვლერჭჩამოკიდებული და ფეხშიშველი, ფეხშიშველივე ხელსაცეცხლურიანი მღვდლის წინამძღოლობით დაიძრებოდა მაქსიმეს პირველი დამარხვის ადგილიდან მურისკენ იმ გზით, რითაც მოზვრებმა წაასვენეს მისი ცხედარი. გზიდან არ გადაუხვევდნენ არც მარჯვნივ, არც მარცხნივ. რაც წინ დახვდებოდათ, ღობე იქნებოდა თუ ნათესი, გადათელავდნენ, თუ სახლი დახვდებოდათ აშენებული, ფანჯრებში გადიოდნენ, მირბოდნენ უკანმოუხედავად, მოთქმითა და გალობით: „ოი, ოჰო, ჰო წმინდა მაქსიმე! დარი გვიბოძე! შეგვიხვეწიეე!“

ეს იყო „მურობა“ — ხალხური მისტერია, რომელიც გასული საუკუნის მიწურულამდე ცოცხლობდა ლეჩხუმში დეხვირისა და მისი მეზობელი სოფლების რელიგიურ ყოფაში.

მართლმადიდებელი ეკლესია ორჯერ იხსენებს მაქსიმე აღმსარებელს — 13 აგვისტოს, მისი გარდაცვალების დღეს, და 21 იანვარს, მისი დასჯის დღეს. გარდა მურობის მისტერიისა, ლეჩხუმში ხალხს თავისი დღე აქვს დაწესებული წმ.მაქსიმეს მოსახსენებლად: ნააღდგომევის ხუთშაბათი („ბრწყინვალე ხუთშაბათი“), გოგაშობა. მღვდელი სწირავდა ნახევრადდაქცეულ ეკლესიაში, გადიოდნენ წმ.მაქსიმეს საფლავზე ძღვენით და პურ-ღვინით, და ილხენდნენ.

* * *

**„... მოთმინებით ალქურვილს სჩვევია თავისი თავი ჩათვალოს განსაცდელის მიზეზად. ეს ნამდვილად ასეც არის, რადგან ბევრი რამ, რაც ჩვენ თავს გვატყდება, ჩვენს გასაწვრთნელად ხდება: ან წარსული ცოდვების წარსახოცად, ან ახლანდელი უზრუნველობის გამოსასწორებლად, ან მომავალ ცოდვათა ასარიდებლად. და ვინც ფიქრობს, რომ განსაცდელი რომელიმე ამ მიზეზით შეემთხვა მას, არ მოსთქვამს ნაგვემი, მითუმეტეს, როცა გრძნობს თავის ცოდვას. ბრალს არ სდებს მას, ვისი ხელითაც მოვიდა განსაცდელი, რადგან მისი ხელით მოვიდა, თუ სხვისი ხელით, მან, სულ ერთია, მაინც ბოლომდე უნდა შესვას ღვთიურ განკიცხვათა თასი. ამიტომ ის თავის მზერას მიაპყრობს ღმერთს და ჰმადლობს მას, რომელმაც მიუშვა მასზე განსაცდელი...“**

მაქსიმე აღმსარებელი



# სიტყვა-ყველას

## რა ხდება სამართალდამცავ ორგანოებში?!

ტელევიზიით მოვისმინე და გაზეთებში წავიკითხე იმ ბრალდებების შესახებ, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა უყენებენ ერთმანეთს. რას ჰგავს ეს, ქვეყანა, მართლა და მართლა, ჩალით ხომ არ არის დაფარული? როგორ შეიძლება ამ ვითარებაში ჯანსაღი მომავალი თაობა გაიზარდოს და მას ხახელმწიფოს პატივისცემის გრძნობა განუვითარდეს. პირდაპირ თავზარი დამეცა! რას ნიშნავს დაკავებულებისა და მოწმეების ცემა-ტყეპა პოლიციაში. ადრე ბავშვებს ვასწავლიდით, რომ ამას ფაშისტები სჩადიოდნენ, ახლა კი რა გამოდის?! მართალი გითხრათ, ადრეც მესმოდა ამგვარი რამ შვილიშვილებისგან თუ მეზობლის ბიჭებისგან, მაგრამ ეს მაინც ახალგაზრდულ გადაჭარბებად მიმაჩნდა. ახლა კი, პროკურატურა იგივეს აცხადებს — თურმე პირდაპირ სამინისტროს შენობის მეექვსე სართულზე ურტყამენ ადამიანებს. პროკურატურა ასეთ რამეს შეუმოწმებლად ხომ არ იტყოდა? ვინ არიან ის გამომძიებლები, რომლებიც ადამიანებს აწამებენ?! ისინი ხომ ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან და არა კანონის დამცველები.

დავიჯერო, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებს არ ესმით ნაცემთა წივილ-კივილი, არ იციან, რა ხდება მეექვსე სართულზე? თუ მათ არ იციან, რა ხდება მათდამი დაქვემდებარებულ უწყებაში, კარგად გვქონია საქმე, ხოლო თუ იციან და მათი მითითებით ხდება ყველაფერი ეს, სულ დავლუპულვართ. ანდა პროკურატურა, ტელეფონის ნომრებს რომ გვაძლევს, პოლიციელთა უკანონო ქმედების შესახებ გვაცნობეთო, მოსახლეობის აბუჩად აგდებას ჰგავს. თვითონ თუ ამდენი იციან და ვერაფერი გაუწყვიათ, რომელიმე მოქალაქე რომ გაბრიყვდეს და მართლა დარეკოს, ხომ სულ ამოხდიან ცემით სულს და ვინ იქნება მერე მისი მშველელი? ნუთუ არ მოინახება საშუალება, რომ დამნაშავეები გამოვლინდნენ და დაისაჯონ? მაგრამ ვინ უნდა ქნას ეს? თვითონ პროკურატურაშიც ვერ ყოფილა საქმე კარგად, თურმე დანაშაულებს ფარავენ და, ალბათ, ამას უანგაროდ არ სჩადიან. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მოქალაქე? პარლამენტს სთხოვდა კაცი დახმარებას, მაგრამ მათაც რა შეუძლიათ, გაზეთები წავიკითხე, თურმე პარლამენტარებსაც ურტყამენ. არ მჯერა, მაგრამ გავიკითხე და დამიდასტურეს — ეგრეაო. გამოდის, რომ საშველი აღარ არის, კანონი და სამართალი აღარ არსებულა და აღარც ისეთი უწყება დარჩა, რომელიც ამ საქმეს მიხედავდა. მე მგონია, რომ ამ საქმეში აუცილებლად უნდა ჩაერიოს უშიშროების სამსახური, თუმცა ჯერ, ალბათ, უნდა გაირკვეს, ამ უწყებაში მაინც თუა ყველაფერი წესრიგში.

გრიგოლ ქვაჩახია

დამსახურებული მასწავლებელი, ამჟამად პენსიონერი

***

ისე დაგვღალა ჩვენმა ყოველდღიურმა, მოუწესრიგებელმა ცხოვრებამ, რომ თითქმის უყურადღებოდ დაგვრჩა ყველაზე უმთავრესი — ჩვენი შვილების სულიერება, მათი მომავალი. რატომ არავინ აქცევს ყურადღებას იმ იაფფასიან, უხარისხო, მდარე ხარისხის ლიტერატურას, რომელსაც შეუფერხებლად საკუთარი თანხებით გამოსცემენ კერძო პირები. მათ ხომ არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ და ვერც ჩვენი შვილების აღზრდა-ჩამოყალიბებაში ითამაშებენ დადებით როლს. რამდენიმე ხნის წინ წავაწყდი წიგნს სათაურით „ანბანთან წასაკითხი ლექსები". მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული, მხოლოდ არაფრის მომცემი, აბსურდული ნაწარმოებებით გადატვირთული. ნუთუ ამ სახის ლიტერატურით უნდა ვკვებოთ ჩვენი მომავალი თაობა, როდესაც საბავშვო ლიტერატურის უამრავი შესანიშნავი ნიმუში დიდი ხანია აღარ გამოცემულა.

ნინო ხაჯაპურიძე

***

დიდუბის რაიონში გახშირდა მანქანების ქურდობა. შებინდდება თუ არა, ქუჩაში კი არა, ხშირად საკუთარ ეზოშიც საშიშია მსუბუქი ავტომანქანის გაჩერება. გამუდმებით იპარავენ საბურავებს, აკუმულატორს, მაგნიტოფონს, თავად ავტომანქანას. პოლიციას რამდენჯერმე მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. არადა მიახლოებით ყველამ იცის, რომ უბნის „შპანა" კურირებს ამ საქმეს. დაზარალებული პირდაპირ ხელს ვერ ადებს, პოლიცია კი პასიურობს.

სხვათაშორის, ეს „შპანა" არც ბინის ქურდობას ერიდება.

გიული მოისწრაფიშვილი

***

გაწუხებთ 31-ე „ატეესის" აბონენტები. ეს „ატეესი" მუდმივად შეფერხებებით მუშაობს. ზამთარში გვეუბნებოდნენ, დენი არ არის და „ატეესი" ითიშებაო. გასაგებია, მაგრამ არც გაზაფხულ-ზაფხულში შეცვლილა სიტუაცია. გავწამდით, ცეცხლი რომ წაგვეკიდოს ან სასწრაფოდ ექიმი დაგვჭირდეს, ისე ამოვწყდებით, მშველელს ხმას ვერ მივაწვდით.

არც მთლად ისეა საქმე, რომ ენერგოკრიზისი აფერხებს ატეესის მუშაობას. სადგური გაუმართავია, თითქმის ამორტიზებული. არადა ამ „ატეესით" საკმაოდ დიდი ტერიტორია სარგებლობს. გარდა ამისა ნუცუბიძე, ვაჟა-ფშაველა საკმაოდ მოშორებულია ცენტრიდან და უმეტეს შემთხვევაში კავშირის ერთადერთი საშუალებაც არ გვაქვს. იქნებ კავშირგაბმულობის სამინისტრომ 31 „ატეესსაც" მიაქციოს ყურადღება.

ნუცუბიძის ქუჩის მცხოვრებლები

# უმოკლესი

ნუ ენდობი
იგი თქვენ არ გემსახურებ
ჯანმრთელობის და სიცო




ნუ მოწევთ სიგარეტს!
იგი ნელ-ნელა შხამავს თქვენს ორგ
ნიზმს. აფუჭებს
თქვენს კანის ფერს.
აუხეშებს თქვენს
ხმას. აქვეითებს
თქვენს გონებრივ
პოტენციალს.



ნუ მიეძალებით არაყს!
იგი ძალიან სწრაფად ანგრევს თქვე
ჯანმრთელობას, ძალიან სწრაფად აფუჭ
თქვენს ოჯახურ და სამსახურეობრივ
ურთიერთობებს: თქვენგან. რესპექტაბელ
ადამიანისგან. ძალიან სწრაფად მხოლო
უმაქნისი მძორი დარჩება.



# სამარისაკენ

## …ტის რეკლამას!
## …მათ ემსახურება, ვინც თქვენი
## …სად გამდიდრებას ელტვის.

…ნისტური ლოზუნგები,
…რ უყვარდა ბატონ თამაზ
…ს, ისტორიის საკუთ-
… ველარსად ნახავთ მია
… თუ ლეონიდ ბრეჟნევის
…მღიმარ სახეებს მათივე
… გამონათქვამების ფონ-
… ჩვენი ეპოქის გონება,
… სინდისია"; "საქართ-
…ქმეები კარგად მიდის"
…ყვარი.
…ეროდ, კაპიტალიზმის
…მდგარი საქართველო
… წალეკოს უცხოური
… ველურმა რეკლამამ -
… მოწიეთ, მოწიეთ! -
… და გვეპატიჟებიან
… და ტელევიზიით,
… მოედნებზე. პირში
…ჩრილი ოდნავ ჩაც-
…, სულაც, დედიშობილა)
… სიგარეტების რეკ-
…ნუყოფელი ნაწილია:
… და თქვენც გექნებათ
… მკერდი, მოწიეთ და
…ქნებათ ასეთივე სავერ-
…ანი, ასეთივე ლაკვარ-
…ური, ასეთივე ვნები-
… ხმა და დაბნედილი

… გსურთ, წარმატება
… ბიზნესში, პოლი-
…ვნიერებაში, კინოში ან
… - მოწიეთ უცხოური
… სიგარეტი და თქვენი
… თითქმის გარანტი-

… თურმე, "კარგი
… "ჯანმრთელობის ელე-
… "საუკეთესო გემოა"!
…ტის ბოლის გარეშე,
…ვრება აზრს კარგავს.
…ოლიტიკურ კარიერას
… და აღარც ლოგინში
… ვერც კამკამა აუზში
… და ვერც თხილა-
…ნრიალებთ. არჩევანი,
…არის - ან სიგარეტი, ან

…ვენთან არის ასე,
…რომში. ცივილიზებულ
… უკვე დიდი ხანია,
… სამკვდრო-სასიცოც-
…ოლა გამოუცხადეს.
… მილებისას ამერიკაში
…ნიაში აუცილებლად
… იწამლავთ თუ არა
…ტინით. არამწეველები,
…ან შედარებით, სიგრ-
…ვილეგიებით სარგე-
…ოგი ფირმა საერთოდ

უარს აცხადებს მწეველთა კონტინგენტზე. იკრძალება მოწევა სასტუმროებში, ოფისებში, სამუშაო ადგილებზე, და, ასე განსაჯეთ, ზოგიერთ რესტორანშიც კი. სიგარეტის კვამლში გახვეული ქალი იქ დიდი ხანია აღარ მიიჩნევა საუკეთესო საპატარძლოდ. ტელევიზიაში იკრძალება ნებისმიერი "საუკეთესო" სიგარეტის რეკლამა, ან იმ დროს გადაიცემა, როცა მოქალაქეთა ნორმალურ ნაწილს სძინავს.

ჩვენთან საოცარი ამბები ხდება - სიგარეტის ბიზნესი, ფაქტობრივად, არ იბეგრება (ან სიგარეტების უზარმაზარი ზღვა ქვეყანაში კონტრაბანდული გზებით შემოედინება). ერთი და იგივე ფირმისა და ხარისხის სიგარეტი, ევროპულ ბაზრებთან შედარებით, საქართველოში ათჯერ იაფი ღირს. ვის არ გინახავთ სამათხოვროდ ხელგაწვდილი ჩამომხმარ-ჩამოძონძილი კაცი, რომელიც "მარლბოროს" ეწევა. ვის არ გინახავთ 8-10 წლის გოგო-ბიჭები, პროფესიულად რომ ეწევიან, ვის არ გინახავთ ცნობილი მსახიობები ეკრანზე, ქვეყნის დასანახად, ზედიზედ რომ ქაჩავენ სიგარეტს?

არავითარი ანტირეკლამა, არავითარი მინიშნება, რომ ნებისმიერი "კარგი" და "საუკეთესო" თამბაქოს ბოლი მავნებელია, მომაკვდინებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. განსაკუთრებით, თუ ეს ადამიანი ქალია.

ვისაც ეს ეხება, ან უნდა ესმოდეს, ყურებსაც იხშობს და თვალებსაც იბრმავებს. როგორც ჩანს, მისთვის (ან იმათთვის, ვინც დაკავშირებულია სიგარეტის ბიზნესთან) სულერთია საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე. მთავარია ფული, რომელსაც ბოლის სუნი სულაც არ უდის.

კიდევ უფრო პიკანტური სიტუაციაა ალკოჰოლიან სასმელებთან დაკავშირებით. მართალია, მათი უმრავლესობა ნატურალური სპირტის ნაცვლად მომაკვდინებელი საწამლავებითაა შეზავებული, მაგრამ მისი რეკლამა სრული სვლით მიგრიალებს. არავითარი ბარიერი: თვით სახელმწიფო ტელევიზიის არხებითაც კი ყოველდღე უზარმაზარი საეთერო დრო ეთმობა უცხოური არყების რეკლამას. თურმე, არაყი "გუდაური" ხელს უწყობს... ზრდას, არა მხოლოდ ძაღლებისა, ბავშვებისაც კი. თუ ჩვენი გოგონები, რომლებიც დიდად კმაყოფილნი არ არიან საკუთარი გარეგნობით, არყის სმას დაიწყებენ, უეჭველად გალამაზდებიან; ჩვენი ფაფუკღიპოსანი ვაჟკაცები ტანწერწეტებად გადაიქცევიან; დედამთილები დატკბებიან, სიდედრები დაშაქრდებიან, ლაჩრები გამამაცდებიან და ავაზაკები გაკეთილშობილდებიან. ქართული გაგებით, ასეთი მაგიური ძალა აქვს, თურმე, "საშას" და "გუდაურს", "სტალინს" და "გორბაჩოვს", "სემიონოვს" და "სმირნოვს"... და ა.შ.

ვყიდი ფერად ტელევიზორს „...ქტრონ-ბალხეკა-61 CB", ...ტანციური პულტით. ფასი ... ლარი. ტელ: 60-67-59.

ვყიდი ფერად კინოფირს 8 მმ ...ველოტრენაჟორს, ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-62-29.

ვყიდი პიანინოს „რონიში", ფასი ... ლარი; ყინულის გენერატორს ლ-60, ფასი 300 ლარი; ...ის საკერ მანქანას (ელექტ...) MM-300, ფასი 400 ლარი; ...ავს 240-608 ორი კომპ... კამერით, 180 ლარი; რკი... გასაშლელ მაგიდას 1,40X60, ...ის ფასი 35 ლარი. ტელ: ...-87, 95-94-70, მიშა.

ვყიდი სხვადასხვა ფორმისა და ფერის გემოვნებით გაფორმებულ აბაჟურებს, ლამფებზე, ჭერზე, ტორშერზე ჩამოსაკიდს. ტელ: 99-02-73.

ვყიდი მუსიკალურ ინსტრუმენტს ჩეხური წარმოების საყვირს „სუპერ არიოზო", ფასი 300 ლარი. ტელ: 99-02-73.

ვყიდი კონდიციონერს БК-2000, ფასი 120 ლარი. ტელ: 95-48-62, მარინა.

ვყიდი სასადილო გარნიტურს, ბეჟი ფერის, ახალს, ვიტრინას, დივანს, მაგიდას და 8 სკამს, ფასი 12000 ლარი. ტელ: 22-71-80.

ვყიდი ნატურალურ თაფლს (აკაციის და ცაცხვის), ფასი 8 ლარი. ტელ: 22-42-99 (იკითხეთ რამაზი).

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას. სწავლების გარანტიით. მოკლე ვადებში პოპულარულ ქართულ სიმღერებს და კლასიკას. ტელ: 96-34-51, 96-22-33.

ვყიდი სასწრაფოდ ავეჯს — სამზარეულო „ნონა", რუმინული ვიდეო მაგნიტოფონი „პანასონიკ" — ჯ 50", ტელევიზორი „პანასონიკი" ეკრანი 72 სმ, ტელევიზორი „რადუგა 716" დეციმეტრული, ფერადი. ტელევიზორი „იუნოსტი" შავთეთრი მუშაობს 12 და 220 ვოლტზე. კონდიციონერი „БК-1500", სარეცხ მანქანას „ვოლნა", საბეჭდ მანქანას, ქართული შრიფტით, ფეხის საკერ მანქანას „ჩაიკა 2M". წყლის გამაცხელებელს ატმოსის ისრაელის გამოშვება. ტელ: 72-26-31.

ვყიდი იაპონური წარმოების მტვერსასრუტს „ნაციონალი"; წვენების საწურ „მულინექსს"; იაპონურ ჩაის მუსიკალურ სერვიზს 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-34-45.

ფირმა იყიდის უცხოურ პურპულს. ტელ: 95-94-70.

ვყიდი პიანინოს „რონიში", ფასი 1000 დოლარი. ტელ: 95-73-37.

ვყიდი ახალ მაცივარს „ხნაიკე 117", წარმოებული ლიტვაში, მსოფლიო სტანდარტების დონეზე, დიდი გასაყინი კამერით, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-04-05.

ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს (ნიჟარა კომპლექტში) და სამზარეულოს მაგიდას თავისი ოთხი სკამით. ტელ: 96-57-67 (სახლი), 99-05-33 (სამსახური), მაია.

ვყიდი იუგოსლავურ „კედელს" პალისანდრის ხეზე, ფასი 1200 დოლარი, ტელ: 99-05-33 (11-დან 4 სთ-მდე), 73-19-26 (4-დან ნებისმიერ დროს). იკითხეთ თამრიკო.

ვყიდი გერმანულ კაბინეტს, ლ-2 მარკის კაკლის ხისგან დამზადებული. გამოშვებული 1956 წელს, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 36-11-71.

ვყიდი შავი ფერის ანტიკვარულ ნახევრადსაკონცერტო გერმანულ როიალს „შრედერს", საუბილეო გამოცემას, ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-25-21.

ვილებ დაკვეთას — ვწეწავ და ვრეცხავ მატყლს, ვკერავ ლეიბსა და საბანს. ტელ: 31-63-47, მარიკა.

ვყიდი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს, ნიჟარას, სამზარეულოს მაგიდა-სკამებით და შეიდულე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-05-33 (დღისით), 95-40-35, 95-57-67 (საღამოს).

ვასრულებ ელექტროშეკეთებით სამუშაოს. ტელ: 37-68-27, საღამოს საათებში.

ვყიდი ფერად კინოფირებს 8-მილიმეტრიანს, ხუმრო და ახალი ველოტრენაჟორს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-35-36, 29-27-67.

ვყიდი ინგლისური ჯიშის კოკერ-სპანიელის ლეკვებს შავი ფერის. ფასი 150 დოლარი. ტელ: 61-19-12.

ვამზადებ მოსწავლეებს რუსულ ენაში. ვასწავლი სალაპარაკო ენას. ხარისხი უზრუნველყოფილია. ტელ: 71-81-93.

ვყიდი პიანინოს „კრასნი ოქტიაბრი" 39 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 36-46-60, თინა.

ვყიდი შალის გერმანულ ხალიჩას „ხუპერი" 3,5-2,5. ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-46-39, გოგიტაძე.

ვყიდი საქსოვ მანქანას „ნევა-3". საწყისი ფასი 200 დოლარი. ტელ: 71-70-05.

ვთარგმნი ნებისმიერ ტექსტს ინგლისურიდან ქართულად და პირიქით. 1 გვერდის ფასია 2 ლარი. ტელ: 23-24-79.

ვყიდი მაცივარს „ტ-125": ექსპორტიანი, ახალი. ზომა: სიმაღლე — 2,10 სმ, სიგანე — 1,70 სმ. ფასი 1250 ლარი. ტელ: 22-79-66.

ვყიდი გერმანულ კედელს „ელოტზნერი", ხუთნაჭრიანი. ზომა 4,40 სმX2,10 სმ. ჟურნალის მაგიდას და ორ სავარძელს, კარგ მდგომარეობაში, ფასი 1000 ლარი. ტელ: 22-79-66.

ვყიდი გასაშლელ დივანს ორსაწოლიანს, უნგრული წარმოების თეთრეულის სასაწყობით, 2 სავარძლით და ჟურნალის მაგიდით. ფასი 260 ლარი. ტელ: 22-79-66.

ვყიდი 1,7 ტონა ტევადობის რკინის კასრს, იაფად. ტელ: 66-37-41, 23-26-47, 34-47-61.

ვყიდი კაპიტალურ გარაჟს ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე 56 (მეცხრე საავადმყოფოსთან). ტელ: 22-37-09.

მოვამზადებ აბიტურიენტს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში. აჩქარებული ტემპით (შეიძლება ბინაზე მისვლითაც). ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-13-58.

ვყიდი ავეჯს: გერმანულ სასინებელს, პიანინოს „ბელარუსი", ვენურ სკამებს, ტელევიზორს „საიუნგი", გასაშლელ დივანს. ტელ: 96-46-01.

ვყიდი „ქართულ მწერლობას", 8 ტომი, „ქართულ პროზას" — 19 ტომი, საბავშვო ბიბლიას ინგლისურ ენაზე, ამერიკაში გამოცემულს, ილუსტრირებულს, ვებსტერის დიდ ლექსიკონს (ილუსტრირებულს — 20000 გვერდი). ტელ: 23-40-32.

ვყიდი პირველი გამოშვების პიანინოს „საქართველო", შავი ფერის. ფასი სკამით 250 ლარი. ტელ: 95-26-35.

ვყიდი გერმანულ საკონცერტო პიანინოს „ბლიუტნერი" (1912) საუკეთესო მდგომარეობაში, ყოველგვარი ნაკლის გარეშე. მილებული აქვს მედლები. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-64-69.

ინგლისური ენის თარჯიმანი თარგმნის ნებისმიერ ტექსტსა და ლიტერატურას. ერთი გვერდის ფასი 3 ლარი (მექდვის გარეშე), 5 ლარი (მექდვით). ტელ: 34-66-02, დილის საათებში.

ვყიდი ქართულ მწერლობას 9 ტომი, 45 ლარი; გრიშაშვილის ხუთი ტომი, 20 ლარი; გამსახურდიას 10 ტომი, 45 ლარი. საბავშვო ბიბლიოთეკას 8 ტომი, 45 ლარი. ჭავჭავაძის 20-ტომეულის 5 ტომს, 20 ლარი. ტელ: 23-15-15, 23-20-05.

ვყიდი სასწრაფოდ პურის მექანიკურ საცხობს (გამსახურდიას ტიპი) შეიდუქრიანს, ახალი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 30-07-16 (საღამოს საათებში).

ვყიდი სასწრაფოდ ხის დასამუშავებელ უნივერსალურ დაზგას კრასნი მეტალის (შალაშინის — რეისმუსი). ტელ: 30-07-16.

ვყიდი ისტორიული მნიშვნელობის ანტიკვარულ ბუხარს. დამზადებული აშშ-ში. ტელ: 31-29-04.

ვყიდი ჩეხური წარმოების პიანინოს ფირმა „პეტროფი". ფასი 600 დოლარი. ტელ: 37-36-34.

ვყიდი საწერ მაგიდას „ტუალეტი". ფასი 250 დოლარი. ტელ: 98-22-89, 61-58-57.

ვყიდი უცხოური წარმოების „გორკის" ორი ცალი და ოცეულს „რომეო და ჯულიეტა". ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-96-97.

ვყიდი რუმინულ სასადილოს „ბოგდანა"; გერმანულ „სამეულს"; გერმანულ სადილის სერვიზს; 16-სანთლიან არაბულ ჭაღს, ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-17-47.

ვყიდი მუშის ტანსაცმელს (пецовка) 2000 ცალი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 60-32-02. იკითხეთ დათო.

მოვემსახურები მანქანით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-93-01, ამირანი.

ვყიდი სამეულის ხელით ნაქსოვ გადასაფარებელს, ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-74-68.

ვასწავლი სალაპარაკო ენას რუსულსა და ინგლისურში. ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში. ტელ: 96-28-94.

ვყიდი კონდიციონერს — ბკ-1500; სარეცხის მანქანას, ვანას; საბეჭდ მანქანას, ქართული შრიფტით; ფეხის საკერავ მანქანას — „პოდოლსკი-2M"; წყლის გამაცხელებელს; 5-კილოვატიან, სუპერს, ისრაელის გამოშვება. ტელ: 72-26-31.

ვყიდი სასწრაფოდ, შეღავათიან ფასში სამზარეულოს „ნონა" — რუმინეთის; ვიდეო მაგნიტოფონს „პანასონიკი" — „ჯ-50", ტელევიზორს „პანასონიკი", ეკრანი — 72 სმ; ტელევიზორს „რადუგა"-716 — დეციმეტრული, ფერადი; ტელევიზორს — „იუნოსტი-406", დეციმეტრული, შავ-თეთრი. მუშაობს 12 და 220 ვოლტზე. ტელ: 72-26-31.

ვყიდი გერმანული წარმოების ანტიკვარულ თოფს „ზაუერი", ორლულიანი, ლულები განლაგებულია ჰორიზონტალურად, კალიბრი № 16. ფასი 600 დოლარი. ტელ: 95-89-13.

ვყიდი გერმანული წარმოების კაბინეტის როიალს (შავი ფერის) და სხვადასხვა ავეჯს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-52-66.

ვყიდი უნგრულ სერვანტს „ტიხანი", კარგ მდგომარეობაში. ტელ: 98-77-24, 29-33-25.

სამეცნიერო საწარმოო ფირმა „პენა"-ს საკანცელარიო ნაკეთობათა საამქრო, ოფიციალურ და კერძო პირებს ადგილზე მიტანით სთავაზობს: საკანცელარიო სამაგრებს (ერთ კოლოფში 100 ცალია), ფასი 40 თეთრი, ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი. ტელ: 60-54-04. იკითხეთ ირმა.

ვყიდი სახლის გადასახურავ მოთუთიებულ თუნუქის ფილებს („ცინკის შიფერს", ორლარიანს), ზომებით 182X57 სმ, 126 ცალს. თითოეულის ფასია 7,5 ლარი; ავეჯის გადასაკრავ (ან კედელზე ასაკრავ) თხელ დეკორატიულ პლასტიკატს (რუსეთიდან) რულონში. სიგანეა 96 სმ, სიგრძე 44 მეტრი, 1 მეტრის ფასია 5 ლარი; იაპონურ ფართოფორმატიან პრინტერს „Star-SG15". ფასი 200 ლარი. ტელ: 34-86-51, ზურაბი.

ვყიდი რუმინული ხის თაროებს. ახალს, შეფუთულს. ფასი ცალი 30 ლარი; ჩეხურ თეთრი კაფელის ფილებს. ერთი კვ.მ. ფასი 12 ლარი. ტელ: 36-46-47, 23-41-02.

ვყიდი გერმანული წარმოების პიანინოს „ციმერმანი", ფასი 1000 დოლარი. ტელ: 66-06-57.

ვყიდი ავეჯს 16-ნაჭრიანს. უნგრული წარმოების. მაცივარს „ЗИО". ფასი შეთანხმებით. ტელ: 72-32-14.

ვყიდი რუმინული წარმოების საძინებელ გარნიტურს (ტულპანი, 5 ნაჭერი), ფასი 2000 დოლარი. ტელ: 66-06-57.

ვყიდი გერმანულ პიანინოს „ციმერმანი" და უნგრულ საწერ მაგიდას. ტელ: 78-91-57.

ვყიდი საძინებელ გარნიტურს „ზაკარპატსკაია"; გერმანულ საძინებელს; პიანინოს; ბრინჯაოს ჭაღს; „სერვანტს"; ძველებურ სარკეს; მაცივარს, ტელევიზორს „სამსუნგი"; საკერავ მანქანას (პოდოლსკი); იუგოსლავურ საბეჭდ მანქანას; დივანს. ტელ: 36-46-01.

ვყიდი კედელს, ფასი 1700 ლარი. ტელ: 96-31-18 (რუსუდანი).

ვასწავლი ქალთა სასარიკმახერო საქმეს და კოსმეტიკას. ტელ: 95-30-35 (დღისით).

ვყიდი 6-კაციან გასაშლელ კარავს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-32-26.

ვყიდი საბეჭდ მანქანას ქართული შრიფტით, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 51-78-54, იკითხეთ ნაილი.

ვასწავლი სალაპარაკო ენას რუსულსა და ინგლისურში. ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში. ფასი 96-28-94.

ვყიდი ტიხებურ მილებს ხოფილ წავკისში. ტელ: 22-66-96.

ხის მასალის მსურველებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ: 34-59-84, თემური, 36-86-70, გუჯა.

ვყიდი გერმანული წარმოების კომბინირებულ „ჩელგს" და საწერ მაგიდას. ტელ: 37-36-34.

ვყიდი გერმანულ შავი ფერის როიალს „ბეკერი". ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-52-66.

ვყიდი საკერავ მანქანას „პოდოლსკი". ფასი 80 ლარი. ტელ: 78-88-88, იკითხეთ ხათუნა ან ნანა.

ორგანიზაციას აქვს დიდი რაოდენობით მაკულატურა. მსურველებს ვთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით — 96-97-03, 96-97-04.

ვყიდი კონდიციონერს „БК-2500", ფასი შეთანხმებით. ტელ: 51-43-28.

ვყიდი სასწრაფოდ თუხარელის პროექტის 4-ოთახიანი ბინისთვის გამზადებულ ორმაგ კარ-ფანჯარას, ძალიან იაფად. ტელ: 31-55-04 — ნანა, 29-32-51 — ნანა.

ვყიდი ტრენაჟორს, „ეგო", კაბინეტის საწერ მაგიდებს (15 ცალი, ახალი, თბილისის წარმოების). საზღვაო ავტომობილების მასშტაბურ მოდელებს, კოლექციონერისთვის. ტელ: 88-62-29, 29-35-25, 29-29-19.

მოვუვლი ბავშვს 1 წლამდე. ტელ: 39-08-60.

ვყიდი გერმანულ ფაბრიკის ვიოლინოს, სტრადივარიუსის ასლი, ოთხი მეოთხედის ზომა. თავისი ფუტლიარით. ტელ: 39-45-23, ნინო.

ვყიდი სამედიცინო ენციკლოპედიას რუსულ ენაზე, 35 ტომი. საბავშვო ენციკლოპედიას — 10 ტომი, რუსულ ენაზე. პოლიმერების ენციკლოპედიას — 3 ტომი, რუსულ ენაზე. ტელ: 38-69-92.

ვყიდი რუსეთის პიანინოს „ვლადიმირი", შავი ფერის, კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 ლარი. ტელ: 99-66-43.

ვყიდი საქაღალდეებს, ყაისნაგირი, 1 ც. ფასი 20 თეთრი. მინამინის პარტია 1000 ცალი. ტელ: 29-32-51, ლია.

ვყიდი ყურძნის საწურს თავისი წნეხით. მუშაობს როგორც დენზე, ისე ხელით. 1 სთ-ში წურავს 1 ტ ყურძენს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-41-86, ანა.

ვამზადებ გერმანულ ენაში, ვთარგმნი ვიზებს, წერილებს და ა.შ. ტელ: 98-46-53, დათო.

ვყიდი ბელორუსიის პიანინოს, კარგ მდგომარეობაში, შავი ფერის, ფასი 300 ლარი. ტელ: 51-59-22, 51-73-15.

ვყიდი 96-გრადუსიან ხორბლის გერმანულ სპირტს 230 ლიტრიან კასრებში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-23-93, 23-00-79.

ვყიდი შამპანურის ცეხს, აწყობილს, ყველა საჭირო დანადგარით. 5 ტონა ჭურჭლით, თავისი ფირმით და ლიცენზიით, აგრეთვე, 2 ცალი ჰიდრავლიკური წნეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 51-14-93, 51-24-25, 95-02-89, იკითხეთ ანზორი, შალვა, ზურა.

ვყიდი ჯიხურს დიდუბეში 6 კვ.მ, ფასი 600 ლარი. ტელ: 95-94-70.

ვყიდი მეტალის ავზს, 12 მ3-იანი, 24-ტონიანი, 2X2X6. ფასი 1600 ლარი. ადგილზე მიტანით. ტელ: 37-30-29, 67-33-22.

ვყიდი ხე-ტყის დასამუშავებელ დაზგებს. ტელ: 36-25-21, 35-43-87, კობა.

ვყიდი სამზარეულოს გარნიტურს, გერმანულს, გაუხსნელს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-23-26.

ვამზადებ ოფლის საწინააღმდეგო მალამოს. ტელ: 61-00-20, ნანა.

ინგლისური ფირმის „ჯონ ბრონსის" სადილის სერვიზი 12-კაციანი, 61 ნაჭერი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-04-05, ეკა.

ვყიდი ჩეხური გამოშვების ფირმა „პეტროფის" ახალ პიანინოს. ფასი 800 დოლარი. ტელ: 37-34-36.

ვყიდი „ჩიბინდეილის" ფირმის „გორკას" და „დესკს" ფასი 5500 დოლარი. ტელ: 37-38-60.

ვყიდი წიგნების თაროებს (ჩეხური) 8 ცალი, ჟურნალების მაგიდას, სასადილოს, რბილ სკამებს 6 ცალი, ორსაწოლიან არაბულ ტახტს, სავარძელ საწოლს, ბიბლიოთეკას (500 წიგნი), კარავს (2 ცალი), საძინებელ ტომარას (2 ცალი), გასაბერ ლეიბს (2 ცალი), გასაბერ ნავს, ხელის საკერავ მანქანას. ტელ: 72-26-68.



### ᲒᲣᲠᲐᲛ ᲝᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

თავზარი დაგვცა შენმა უეცარმა და უდროო სიკვდილმა... ნამივით ჩაგვაკვდა ხელში 29 წლის სიცოცხლე. შენ ალამაზებდი ირგვლივ ცხოვრებას. ფაქიზ სულთან ერთად, ვაჟკაცური და შეუპოვარი ბუნება გქონდა. მუდამ გვერდით ედექი მეგობრებს, ნათესავებს, თავს evლებოდი მეუღლეს, დედ-მამას, ძმას. არც კი ვიცით, რით ვანუგეშოთ ისინი... შენ ჩვენთვის განსაკუთრებით საყვარელი იყავი, ჩვენი გული და სული. ახლა კი ეს გული იმ გარენარმა ამოგვაცალა...

ჩაიარა შენი არყოფნით დამძიმებულმა ერთმა წელიწადმა...

ერთად ყოფნის მთელ ბედნიერებას ადამიანები თურმე მართლა უკანმოხედილნი გრძნობენ... თანდათან უფრო მძიმდება მოგონებები... არადა, მეტი აღარც არაფერი დაგვრჩა შენგან... ამქვეყნად დარჩენილთ უფრო დიდი გამოცდა გვარგუნა უფალმა — გავუძლოთ „მინას" მთელი თავისი ავ-კარგით...

შენს სახელს კი დავიწყება არ უწერია, რადგან ვაჟკაცობა, სიკეთე და სიყვარული არასოდეს კვდება...

ახვლედიანების ოჯახი

# უცხოეთის ფეხბურთის ქრონიკა

გასულ უქმეებზე ახალი საფეხბურთო სეზონი გაიხსნა ინგლისში — პირველი ტურის მატჩები გამართეს როგორც პრემიერლიგის, ისე დანარჩენი დივიზიონების გუნდებმაც; სტარტი აიღო გერმანიის ბუნდესლიგამაც, ხოლო საფრანგეთსა და შოტლანდიაში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. მორიგი, 23-ე ტურის მატჩები ითამაშეს რუსეთის უმაღლესი ლიგის გუნდებმაც.

ინგლისი: ქართველ გულშემატკივრებს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქინქლაძისა და ყაველაშვილის „მანჩესტერ სიტის“ ამბავი აინტერესებს. „სიტისა“ და „იფსვიჩ თაუნის“ მატჩმა, რომელიც პარასკევს გაიმართა, ალბიონზე საფეხბურთო სეზონი გახსნა. მანჩესტერელთა ქართველმა ლეგიონერებმა მშვენივ-



რად ითამაშეს. ერთადერთი გოლი, რომელმაც თამაშის ბედი გადაწყვიტა, ლომასმა სწორედ ქინქლაძის პასით გაიტანა. რამდენჯერმე შეეძლო თავის გამოჩენა ყაველაშვილსაც, მაგრამ, ამჯერად ბედმა არ გაუღიმა; „მანჩესტერ სიტიმ“ 1:0 მოიგო და პირველი ნაბიჯი გადადგა პრემიერლიგისკენ მიმავალ გზაზე. პირველი ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ვესტ ბრომვიჩი ალბიონი“ — „ბარნსლი“ 1:2, „საუთენდი“ — „ტრანმერი“ 1:1, „რედინგი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 1:0, „ქუინზპარკ რეინჯერსი“ — „ოქსფორდი“ 2:1, „პორტ ვეილი“ — „ბოლტონი“ 1:1, „ბრედფორდი“ — „პორტსმუთი“ 3:1, „გრიმსბი“ — „ვულვერჰემპტონი“ 1:3, „ჰადერსფილდი“ — „ჩარლტონი“ 2:0, „ნორვიჩი“ — „სვინდონი“ 2:1, „ოლდჰემი“ — „სტოკსიტი“ 1:2, „ბირმინგემ სიტი“ — „კრისტალ პალასი“ 1:0.

მოგებით დაიწყო მორიგი სეზონი ბოლო წლების ინგლისური ფეხბურთის ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“. ალექს ფერგიუსონის გუნდმა გასვლით შეხვედრაში დაამარცხა „უიმბლდონი“ 3:0; აი, „ნიუკასლ იუნაიტედმა“ კი ვერაფერი გააწყო ლივერპულში „ევერტონთან“ და 0:2 დამარცხდა. ჩემპიონატის კიდევ ერთმა ფავორიტმა „ლივერპულმა“, რომელსაც სეზონის გახსნის წინ დაცვაში პრობლემები ჰქონდა, წამყვანი ფეხბურთელების (ჯონსი, ჰარკნესი, რადოკი სკეილზი) ტრავმების გამო, ასევე სტუმრად ფრედ — 3:3 ითამაშა „მიდლსბროსთან“. ლივერპულელები სამჯერ იყვნენ წინ, მაგრამ დიდებულად ითამაშა პრემიერლიგის დებიუტანტმა „მიდლსბროს“ იტალიელმა „ვარსკვლავმა“ ფაბრიციო რავანელიმ, რომელმაც პირველივე ტურში ჰეთ-თრიკი გააკეთა — სამივე საპასუხო გოლი მის ანგარიშზეა. ასევე 3:3 ითამაშეს პრემიერლიგაში დაბრუნებულმა „დერბი ქაუნთიმ“ და „ლიდს იუნაიტედმა“. „არსენალმა“ 2:0 მოუგო „ვესტ ჰემ იუნაიტედს“, „შეფილდ უენსდეიმ“ დაამარცხა „ასტონ ვილა“ 2:1; დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ბლექბერნი“ — „ტოტენჰემი“ 0:2, „ქოვენთრი“ — „ნოტინგემი“ 0:3, „სანდერლენდი“ — „ლესტერი“ 0:0, „საუთჰემპტონი“ — „ჩელსი“ 0:0

გერმანია: ბუნდესლიგის ჩემპიონატმა სტარტი პარასკევს აიღო. ამ დღეს ორი მატჩი გაიმართა — ერთ-ერთმა ფავორიტმა, მიუნჰენის „ბაიერნმა“ სტუმრად 2:1 დაამარცხა ჰამბურგის „სანკტ-პაული“, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ბურთი მასპინძლებმა გაიტანეს, მაგრამ შემდეგ მიუნჰენელთა ახალწვეულებმა, იტალიელმა რიციტელიმ და ბასლერმა ორი გოლი გაიტანეს და ჯოვანი ტრაპატონის გუნდმა პირველი სამი ქულა მოიპოვა.

პარასკევსვე მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“ ვერაფერი მოუხერხა ბუნდესლიგის ახალბედას — ბილეფელდის „არმინიას“ — 0:0. ექვსი შეხვედრა შაბათს შედგა: ჩემპიონი, დორტმუნდის „ბორესია“ ლევერკუზენში „ბაიერთან“ დამარცხდა — 2:4; პარასკევს დაწყებული მიუნჰენი — ჰამბურგის დუელი შაბათს გაგრძელდა და ისევ ბავარიელთა სასარგებლოდ — „მიუნჰენ 1860“-მა „ჰამბურგს“ მოუგო 2:1; „ფრაიბურგმა“ 3:2 დაამარცხა „ვერდერი“, „შტუტგარტმა“ სძლია „შალკეს“ 4:0, „ბოხუმმა“ „დუისბურგს“ — 1:0; „ჰანზასა“ და „კარლსრუეს“ მატჩი ფრედ — 2:2 დამთავრდა. პირველი ტურის ბოლო შეხვედრა კვირას გაიმართა — „ფორტუნა“ — „კიოლნი“ 0:3.

საფრანგეთი,
II ტური: „მონაკო“ — „მონპელიე“ 1:1, „რენი“ — „ნიცა“ 3:1, „ოსერი“ — „ლილი“ 2:0, „პსჟ“ — „კაენი“ 2:0, „ბასტია“ — „გენგამი“ 1:0, „კანი“ — „ნანტი“ 1:1, „ლანსი“ — „ნანსი“ 3:1, „ლიონი“ — „სტრასბურგი“ 2:0. „ჰავრი“ — „ოლიმპიკი“ 1:1, „მეცი“ — „ბორდო“ 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ოსერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ბასტია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| მონაკო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ოლიმპიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბორდო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| რენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| კაენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| მონპელიე | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჰავრი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| გენგამი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| კანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ნიცა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| სტრასბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

შოტლანდია,
II ტური: „დანფერლაინი“ — „რეინჯერსი“ 2:5, „სელტიკი“ — „რეითროვერსი“ 4:1, „დანდი იუნაიტედი“ — „ჰიბერნიანსი“ 0:1, „ჰართსი“ — „კილმარნოკი“ 3:2, „მოზერუელი“ — „აბერდინი“ 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| სელტიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| ჰართსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| კილმარნოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ჰიბერნიასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| აბერდინი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| მოზერუელი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| დანდი იუნაიტედი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| დანფერლაინი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | 0 |
| რეით როვერსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

რუსეთი, 23-ე ტური:“როტორი“ —“სპარტაკი“ 4:3, „ალანია“ — „როსტსელმაში“ 3:2, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ 1:2, „ჟემჩუჟინა“ — „ზენიტი“ 1:0, „ლოკომოტივი“ მ. — „კამაზი“ 2:0, „ლადა“ — „ლოკომოტივი“ ნ.ნ. 1:2, „ბალტიკა“ — „ტორპედო“ 2:2, ცსკა — „კრილია სოვეტოვი“ 1:2, „ტექსტილშჩიკი“ — „ურალმაში“ 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როტორი | 22 | 15 | 5 | 2 | 42:16 | 50 |
| ალანია | 23 | 15 | 5 | 3 | 45:24 | 50 |
| დინამო | 24 | 14 | 7 | 3 | 42:21 | 49 |
| სპარტაკი | 24 | 14 | 6 | 4 | 47:23 | 48 |
| ცსკა | 24 | 12 | 6 | 6 | 36:25 | 42 |
| ტორპედო | 24 | 8 | 9 | 7 | 30:31 | 33 |
| ლოკომოტივი მ. | 24 | 8 | 9 | 7 | 28:23 | 33 |
| ლოკომოტივი ნ.ნ. | 23 | 10 | 3 | 10 | 22:32 | 33 |
| ზენიტი | 23 | 9 | 4 | 10 | 24:24 | 31 |
| როსტსელმაში | 22 | 7 | 7 | 8 | 41:35 | 28 |
| ბალტიკა | 23 | 6 | 10 | 7 | 26:26 | 28 |
| ჟემჩუჟინა | 23 | 8 | 4 | 11 | 24:33 | 28 |
| კრილია სოვეტოვი | 23 | 7 | 7 | 9 | 15:26 | 28 |
| ჩერნომორეცი | 24 | 6 | 5 | 13 | 23:37 | 23 |
| კამაზი | 23 | 5 | 4 | 14 | 23:38 | 19 |
| ლადა | 22 | 4 | 5 | 13 | 13:33 | 17 |
| ტექსტილშჩიკი | 23 | 2 | 9 | 12 | 12:26 | 15 |
| ურალმაში | 22 | 2 | 7 | 13 | 20:40 | 13 |

ჰოლანდიის სუპერთასის გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონი „აიაქსი“ და თასის მფლობელი პსვ „ეინდჰოვენი“. თავდაპირველად თამაში თანაბარი შანსებით მიმდინარეობდა, მაგრამ მეორე ტაიმში თასის მფლობელმა იძალა და ეიკელკამპმა და ორჯერ დეგრიზმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს ვან დერ საარს. დიკ ადვოკაატის გუნდი სუპერთასს დაეუფლა, ხოლო ლუი ვან გაალს აშკარად ბევრი საფიქრალი აქვს გაჩენილი — დღეს ჰოლანდიის მორიგი ჩემპიონატი იწყება და სულ ცოტა ხნის წინათ უძლეველი „აიაქსი“ მარცხს მარცხზე განიცდის, თანაც, მშრალად და კატასტროფული ანგარიშებით — „იუვენტუსთან“ — 0:6, „დეპორტივოსთან“ — 0:2, „მილანთან“ — 0:3, „ეინდჰოვენთან“ ისევ — 0:3...

* * *

1997-98 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგაში 24 გუნდი ითამაშებს. ხოლო კი, შე... სარჩევი ეტაპების ჩათვლით ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს უეფა-ს წევრი 5... ქვეყნის 48 ჩემპიონი (ანდორისა და სან-მარინოს გარდა). ასეთი გადაწყვეტილება მი... ილო ჟენევაში გამართულმა უეფას აღმასკომმა.

პირველ ეტაპზე, რომელიც ივლისში გაიმართება, იმ 32 ქვეყნის ჩემპიონები, რომელთაც დაბალი რეიტინგი აქვთ, გამოვლენენ 16 საუკეთესოს, რომლებიც მეორე შესარჩევ ეტაპზე ითამაშებენ რეიტინგში 9-16 ადგილზე მყოფი ქვეყნების ჩემპიონებთან და რვა საუკეთესო ქვეყნის მეორე გუნდებთან(რეიტინგის მოწინავენი, სავარაუდოდ, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია, ბელგია და ჰოლანდია ჩემპიონთა თასზე 2-2 გუნდს გამოიყვანენ). გამარჯვებული 16 გუნდი დაემატება 8 საუკეთესოს, რომლებიც განთავისუფლნი იქნებიან და ოთხი 6-6 გუნდიანი ჯგუფი დაიწყებს საკუთრივ ჩემპიონთა ლიგის თამაშებს. ჯგუფებში მატჩები ორ წრედ გაიმართება.

არგენტინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა დანიელ პასარელამ გამოაქვეყნა იმ 22 ფეხბურთელის სია, რომლებიც მოემზადებიან 1 სექტემბერს პარაგვაის ნაკრებთან სათამაშოდ (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სამხრეთამერიკული ჯგუფი). აღსანიშნავია, რომ ნაკრებში კვლავ არიან გაბრიელ ბატისტუტა და კლაუდიო კანიჯია, რომელთაც პასარელა ბოლო ხანებში არ წყალობდა. 22 ფეხბურთელიდან 8 ლეგიონერია. ბატისტუტას (“ფიორენტინა“) გარდა, ესენი არიან: ძანეტი (“ინტერი“), სენსინი (“პარმა“), შამოტი (“ლაციო“), ... რონი (“სამპდორია“), აიალა (“ნაპოლი“), ფლორესი (“ლას-პალმასი“) და კლაუდიო ლოპესი (“ვალენსია“). 4-4 ფეხბურთელი წარადგინეს ნაკრებში არგენტინული ფეხბურთის გრანდებმა — „რივერ პლეიტმა“ და „ბოკა ხუნიორსმა“, შესაბამისად ბერგოსი, დიასი, ალმეიდა, ორტეგა და კანიჯია, ფაბრი, კასერესი, გონსალესი; ორი მოთამაშეა „ველეზ სარსფილდიდან“ — კავალერო და ბასედასი, თითო-თითო მოთამაშე ჰყავთ ნაკრებში „ურაკანს“, „სან-ლორენცოს“, „ჰიმნასია და ესგრიმას“ და „... ნუსს“, შესაბამისად — პინედა, გალეტი, ალბორნოსი და მორალესი.

მოამზადა
კახა ფაჩუაშვილმა



ვან გაალს საფიქრალი დაუგროვდა

ბურთი

# ძველი დრო რომ იყოს

...სპორტის სასახლეში სა- ...ვაჟ ხელბურთელთა ...ნაკრები უკრაინელებს ...ებს მსოფლიო ჩემპიო- ...შესარჩევი ტურნირის მატჩ- ...ება ჩვენი ნაკრების დები- ...ანგის ასპარეზობაზე. საქა- ...-უკრაინის ორმატჩიან (მე- ...ედრა უკრაინაში გაიმარ- ...ელში გამარჯვებული შე- ...და უნგრეთის, მაკედონიისა ...ის გუნდებს.

...დრო რომ იყოს — თუ- ...-20 წლის წინანდელი, ამ ...თამაშების პროგნოზირე- ...საქმე არ იქნებოდა და ...ლოს ნაკრების შანსებს 50 ...ზე ნაკლებად ნამდვილად ...სხებდნენ. იმ პერიოდში ... „ბურევესტნიკი" თუ არ ...ყველ შემთხვევაში, არა- ...მოუვარდებოდა უკრაინუ- ...ურთის ლიდერებს, ზაპო- ...ინდუსტრიული ინსტიტუ- ...ალუმინსტროის, კიევისა ...ვის არმიელთა გუნდებს.

დღეს სხვა დროა. არა, უკრაინელე- ბმაც ბევრი რამ დაკარგეს, მაგრამ ჩვენთან შედარებით, დღესდღეო- ბით, აშკარად უფრო ძლიერები არიან და საქართველოს ნაკრებმა უკრაინელებს რომ მოუგოს, ნამდ- ვილი სასწაული იქნება — სასწაუ- ლებს კი, დაღებითი განხრით, ქართ- ველმა სპორტსმენებმა ამ ბოლო ხა- ნებში აშკარად გადაგვაჩვიეს.

საქართველოს ნაკრები, მწვრთნელების — გიორგი ნარიმა- ნიძისა და ზაურ დოლიძის ხელმძღ- ვანელობით, ასეთი შემადგენლო- ბით ემზადებოდა დღევანდელი შე- ხვედრისთვის: ალეკო ბოყოჩაძე, როლანდ ერაძე, ბექა ორჯონიკიძე, ტიტე კალანდაძე, ირაკლი კეკელი- ძე, გიორგი თურქია, ანდრო ანდრი- აშვილი, გიორგი თხილავა (ყველა სტუ — „შევარდენი"), ლევან გე- ლაშვილი, ირაკლი კენჭაძე („ამირა- ნი"), გიორგი გვაზავა („მართვე").

თამაში სპორტის სასახლეში 18 საათზე დაიწყება.

...ბარი



...ში, ვისკონსინის შტატში გაი- ...ინდიკარის მსოფლიო სერიის ...ეტაპი. თითქმის მთელი რბო- ...ლზე ლიდერობდა საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფი ...რ-უმცროსი, მაგრამ როდესაც ფინიშამდე რამდენიმე ასეული ...რჩებოდა, მისი ბოლიდის ძრავამ ბოლი გაუშვა და სერიალის ...ლი გამარჯვებული, ჩასათვლელი ქულების გარეშე დარჩა. საერ- ...და აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე ძალზე ბევრი იყო სხვადასხვა სახის ..., თუმცა, საბედნიეროდ, სერიოზული ტრავმა არავის მიუღია. ...დ, პირველი ადგილი მაიკლ ანდრეტიმ დაიკავა. ეს მისი მეოთხე მოგებული „გრან-პრი" იყო წლევანდელ სეზონ- ში. მეორე იყო ბობ რეი- ჰალი, მესამეზე ალექსან- დრო ზანარდი გავიდა. სე- რიალის ლიდერი — ჯიმი ვასერი მეექვსე იყო.



...ნზერის მანქანამ ბოლო ...ლომეტრზე ბოლი გაუშვა

საერთო ჩათვლაში ვასერს 136 ქულა აქვს, ანზერს — 131, ზანარ- დის — 124, ანდრეტის — 121, კრისტიან ფიტი- პალდის — 109.

...რბოლა

...ში, მსოფლიოს ჩემპიო- ...ის ეტაპზე უშელავათო ...ციმართა „სამეფო" 500 ...ეუბი ძრავების მქონე ...ოფლიოს ჩემპიონს, ავს- ... დეიმონ ჰილსა და ესპანელ ...ს შორის. გამარჯვებული ...ჰილმა გამოავლინა — ეს- პანელი ოდნავ უფრო სწრაფი აღ- მოჩნდა, თუმცა ამ შედეგს ჩემპი- ონატის საერთო ჩათვლაში არავი- თარი ცვლილება არ გამოუწვევია — მიკ დუენი დიდი უპირატესო- ბით ლიდერობს გათამაშებას და ახლოს არის ჩემპიონის მორიგ ტი- ტულთან.

...ბიზმი

...ტაში დიდი ოლიმპიადის კვალად ტარდება ...ორტსმენთა თამაშები. ასეთი ასპარეზობანი ...ს შემდეგ იმართება და აუცილებლად იმ ...სადაც ოლიმპიადა ტარდებოდა, მაგრამ მხო- ...ე თამაშებია 1988 და 1992 წლების შემდეგ, ...ინვალიდი სპორტსმენები იმავე ქალაქებში ...ნ, სადაც ოლიმპიადა იმართებოდა.

...ბის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა ...ს პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა. „ეს უაღ- ...მნელოვანი ღონისძიებაა, — აღნიშნა თამა- ...განიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა ენ- ...მინგმა, — ეს არის ინვალიდთა სპორტში ... დასაწყისი, რომელიც ქმნის ახალ შესაძ- ...ს ხეიბარ სპორტსმენთა ოლიმპიურ მოძრა-



თამაშებში 127 ქვეყნის 3500 სპორტსმენი მონაწი- ლეობს. შეჯიბრებები 10 დღეს გაგრძელდება და მას, აშშ-ს გარდა, 28 ქვეყნის სატელევიზიო კომპანიები გააშუქებენ.

# მსოფლიოს თასის წინ



26 აგვისტოს სტარტს აიღებს მსოფლიოს თაისი (ყოფილი კანადის თაისი) გათამაშება. ასპარეზობის მონაწილენი — კანადა, აშშ, რუსეთი, სლოვაკეთი, შვედეთი, ფინეთი, ჩეხეთი და გერმანია ამ დღეებში უკანასკნელ საჩვენებელ თამაშებს მართავენ და შემადგე- ნლობებს აზუსტებენ.

ერთადერთი ნაკრები, რომე- ლიც პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობით გამოვა მსოფ- ლიოს თასზე, ეს რუსეთის ნაკრებია — ალექსანდრე გუსა- როვის გარდა ყველა რუსმა „ვარსკვლავმა" თანხმობა განაც- ხადა ნაკრებში თამაშზე. რუსებს ბორის მიხაილოვი უხელმძღვანე- ლებს. რუსმა ჟურნალისტებმა თავიანთი ნაკრები „ოცნების გუნდად" მონათლეს; განსაკუთ- რებით დიდი იმედი მათ მოგი- ლნი-ფიოდოროვ-ბურეს სამეულს აქვთ. მიხაილოვის გუნდმა უკვე ორი საჩვენებელი მატჩი გამართა მოსკოვში ფინეთს მოუგო 5:4, ხოლო სტოკოლმში შვედეთს — 3:2.

ყველაზე დიდი დანაკლისი კანადელებს აქვთ — მარიო ლეიმიეს გარდა ნაკრებში თამა- შზე უარი განაცხადეს რეი ბურკმა და პოლ კარიამ; შვედებს ულფ სამეულსონი, მიქაელ რე- ნბერგი და ტომას სანდსტრეიმი არ ეყოლებათ, ფინელებს — ესა ტიკანენი; ამერიკელები ტრამვის გამო მოისაკლისებენ თავიანთ საუკეთესო გოლ კიპერს, ჯონ ვანბისბრუკს, ხოლო გერმანელთა გუნდში არ ითამაშებს მათი ერთადერთი „სუპერვარსკვლავი". სტენლის თასის მფლობელის, „კოლორადო ეველანშის" მცველი უვე კრუპი. ჩეხების მწვრთნე- ლის, ლიუდეკ ბუკაჩის მთავარი პრობლემა დღესდეობით იარო- მირ იაგარია, რომელსაც ანგინა სჭირს, მაგრამ სავარაუდოთ, მა- ლე უნდა გამოჯანმრთელდეს; სლოვაკების შემადგენლობაში ალბათ არ იქნება „დალასის" ცენტრფორვარდი რობერტ პეტ- როვიცკი.

მსოფლიოს თასზე მოასპარე- ზე გუნდების სრულ შემადგენ- ლობებს ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ. იქვე გაგაცნობთ გუშინ და დღეს გამართულ საჩვენებელი მატჩების შედეგებსაც.

# დავენპორტმა გრაფსაც მოუგო



გასულ კვირაში ვაჟთა სამი და ქალთა ერთი ტურნირი გაი- მართა. უძლიერესი ვაჟი ჩოგბუ- რთელები აშშ-ში — ნიუ-ჰეივე- ნისა და ინდიანაპოლის კორტებზე ასპარეზობდნენ.

ნიუ-ჰეივენში ერთმანეთის მი-



ალექს ო'ბრაიანი

ყოლებით გამოეთიშა ასპარეზო- ბას ყველა ფავორიტი — კურიე, ფერეირა, კაფელნიკოვი, კრაიჩე- კი, როსეტი... ნახევარფინალებში ტურნირის მე-10 ნომერმა, ჰოლა- ნდიელმა იან სიმერინკმა დაამა- რცხა ფერეირა, ხოლო პირველი ნომრის, კაფელნიკოვის მძლეველ- მა, განუთესელმა ამერიკელმა ალექს ო,ბრაიენმა უძნელეს შეხ- ვედრაში მოუგო ავსტრალიელ მარკ ფილიპოუსის, — 7:6, 6:7, 6:4. ფინალში ო,ბრაიენმა ორ სეტში სძლია სიმერინკს — 7:6, 6:4.

ინდიანაპოლისში მოვლენები ლოგიკურად განვითარდა, თუ არ ჩავთვლით ანდრე აგასის დისკვა- ლიფიკაციას, რომლის შესახებაც უკვე ვიტყობინებოდით, ნახევარ- ფინალებში მხოლოდ ერთი განუ-



კარლოს მოია

თესელი, ჩეხი ბოგდან ულირახი გავიდა, თუმცა მეტი ველარ შე- ძლო — პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა არავითარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს — 6:1, 6:4; მეორე ნახევარფი- ნალში ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა (მე-2 ნომე- რი) ამერიკელ ტოდ მარტინს (5) სძლია 6:2, 6:4. ფინალში სამპ- რასმა ორ სეტში 7:6, 7:5 მოუგო ივანიშევიჩს და განიმტკიცა პო- ზიციები რეიტინგში.

ხორვატიის ქალაქ უმაგის მი- ნის საფარიან კორტებზე მონი- ნავე ათეულიდან არავინ ასპარე- ზობდა. გამარჯვებას მე-4 ნომრად განთესილმა ესპანელმა კარლოს მოიამ მიაღწია. ფინალში მან თანამემამულე ფელიქს მანტილია დაამარცხა.

აშშ-ში, მანჰეტენ-ბიჩში ას- პარეზობდნენ ქალები. ტურნირის უდიდესი სენსაცია ნახევარფინა- ლში მოხდა, როდესაც 20 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკე- ლმა ლინდსეი დავენპორტმა მსო- ფლიოს პირველ ჩოგანს, გერმა-



ლინდსეი დავენპორტი

ნელ შტეფი გრაფს მო- უგო — 6:3, 6:3. ახალ- გაზრდა ამერიკელი დი- დებულ ფორმაშია — ატლანტის თამაშების ფინალში მან, როგორც გახსოვთ არანტა სანჩესი დაამარცხა და აი, ახლა თვით გრაფსაც კი არ შეეპუა. მეორე ნახევარ- ფინალში გრაფის თანა- მემამულე ანკე ჰუბერმა (2) სლოვაკი კარინა ჰა- ბსუდოვა დაამარცხა 7:6, 6:3. ფინალში დავენპორტმა კი- დევ ერთი სიურპრიზი შემოგვთა- ვაზა — შეჯიბრების მეორე ნო- მერს — ჰუბერსაც სძლია და მთავარ პრიზს დაეუფლა.

# სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია 0:1



სამხრეთ აფრიკაში, დურბანის „ქინგზ პარკზე" გაიმართა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ახალი ზელანდიის მორაგბეთა ტესტ-სერიის პირველი შეხვედრა. როგორც გახ- სოვთ, შარშან ეს გუნდები მსოფლიოს თასის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ მასპინძლებმა, აფრიკელებმა დამატებით დროში დაამარცხეს მე- ტოქე და მსოფლიოს პირველი გუნდის სახელი დაისაკუთრეს. ძველი მეტო- ქეები წელს ორჯერ დადგნენ ერთმა- ნეთის პირისპირ სამხრეთ ნახევარს- ფეროსა და საერთოდ, მსოფლიოს რაგბის გიგანტების — სამხრეთ აფ- რიკა, ახალი ზელანდია, ავსტრალია, ორწრიანი სერიალის მსვლელობისას. ორივე მატჩი ზელანდიელთა გამარჯ- ვებით დასრულდა.

„ოლ ბლექსმა" მოიგო შაბათს გამა- რთული ტესტ-მატჩიც — 23:19. აღსანიშნავია, რომ სტუმრებს კვლავ აკლდათ ჯონა ლომუ, ხოლო „ქურ- ციკებმა" სხვადასხვა მიზეზით რამდე- ნიმე ისეთი მოთამაშე მოისაკლისეს (პინარი, სმოლი, ფანდერვესტჰოიზე- ნი), რომელთაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს შარშანდელ გამარ- ჯვებაში. ამ მოგების შემდეგ „ოლბ- ლექსს" გაუჩნდა იმის რეალური შა- ნსი, რომ პირველად ისტორიაში მო- იგოს ტესტ-სერია სამხრეთ აფრიკაში.

მეორე ტესტი 24 აგვისტოს პრეტორიაში გაიმართება, ხოლო მე- სამე 31 აგვისტოს —იოჰანესბურგში.



ვენაში დამთავრდა XYII კატეგორიის საერთა- შორისო ტურნირი, რომელშიც ათი დიდოსტატი მონაწილეობდა. 5,5-5,5 ქულით პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს ბელორუსელმა ბორის გელფანდმა, მსოფლიოს ჩემპიონმა ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვმა (რუსეთი) და ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით მთავარი პრიზი გელფანდს ერგო. ამ სამეულის გარდა, ტურნირში თამაშობდნენ: ვლადიმერ კრამკინი (რუ- სეთი), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), არტურ იუსუპოვი (გერმანია), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), იან ელვესტი (ესტონეთი) და უნგრელები — პეტერ ლეკო და იუდით პოლგარი.



## დაეხსენით რობინზონს!

თურმე, ერთხელ ამერიკული გემის „გლასიერის" კაპიტანს ვერტმფრენიდან რადიოთი შეატყობინეს, რომ კუკის არქიპელაგის პატარა უკაცრიელ კუნძულ ანკორიჯზე შენიშნულია ადამიანი. კაპიტანმა ბრ[ძა]ნა, კურსი შეეცვალათ და გემი კუნძულს მიადგა. მაგრამ გადავიდნენ თუ არა მეზღვაურები ნაპირზე, ნახევრადშიშველი კაცი გველნაკბენივით გაქანდა კუნძულის სიღრმეში. „სულმთლად გატყიურებულა, საცოდავი" — გაიფიქრა გულკეთილმა კაპიტანმა, მაგრამ უეცრად კუნძულელმა ბუჩქებიდან დაიწყო ქვების, ცარიელი კონსერვის ქილების სროლა და ყვირილი: „არ მინდა გადარჩენა! თავი გამანებეთ, რას გადამეკიდეთ! წაეთრიეთ აქედან!" შემდგომი დიალოგიდან გაირკვა, რომ ახალზელანდიელი ტომ ნილი უკვე 30 თვეა რობინზონივით ცხოვრობს და თავს შესანიშნავად გრძნობს. განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრის, როგორც თვითონ აღნიშნა, ტელევიზორის არარსებობა და ის, რომ არ სჭირდება საუბარი საგადასახადო სამსახურის ინსპექტორთან. მაგრამ კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ დაუპატიჟებელი მხსნელები თავს არ აბეზრებდნენ!



## თუ არ გინდათ თქვენმა ძაღლმა „დაუსტვინოს"...



თურმე, ძაღლისთვის კუდის მოკვეთა შეიძლება გახდეს მისი „გაგიჟების" მიზეზი. ასეთი დასკვნა გააკეთა იტალიის ვეტერინართა კავშირმა სპეციალური გამოკვლევის შემდეგ. „ძაღლი, რომელსაც არ შეუძლია სიხარული კუდის ქიცინით გამოხატოს, დგას რეალური საფრთხის წინაშე — მას შეიძლება სერიოზული ფსიქიკური აშლილობა დაემართოს!"

## სცენური სიმართლე

თურმე, 70-იან წლებში პარაგვაიში დიდი რაოდენობით ყალბი ფული გამოვიდა მიმოქცევაში. პოლიცია დიდხანს ეძებდა ყალბი ფულის მომჭრელებს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს და ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ყალბი ფული იბეჭდებოდა საჯაროდ, ყველას დასანახად, დრამატული თეატრის სცენაზე, სპექტაკლ „პატიმრის" წარმოდგენის დროს. რეჟისორმა პოლიციას ასეთი ახსნა-განმარტება მისცა: „იმისთვის, რომ ამ სცენას მაყურებელზე შთაბეჭდილება მოეხდინა, ჩვენ იძულებულნი ვიყავით რაიმე მართლა გვებეჭდა".

## ბალახის ჰოკეი მსხვერპლს მოითხოვს

თურმე, ინდოეთის ერთ-ერთ პროვინციაში არის საინტერესო წესი: თუ სკოლის მოსწავლე გაკვეთილს აცდენს იმის გამო, რომ ბალახის ჰოკეიში ვარჯიშობს, მის მაგივრად გაკვეთილს უნდა დაესწროს მშობელთაგან ერთ-ერთი!

## ქალების მოყვარული კომპიუტერი



თურმე, ამერიკის ქალაქ ფრანკლინის (ოჰაიოს შტატი) სასამართლოს მოხელეები შოკში ჩააგდო საკუთარი კომპიუტერის მოქმედებამ. კომპიუტერში შეიყვანეს ქალაქის რამდენიმე ათასი მცხოვრების მონაცემები, რათა კომპიუტერს ნაფიც მსაჯულებად ამოერჩია 100 ყველაზე ღირსეული. კომპიუტერმა ამოარჩია მხოლოდ და მხოლოდ... ქალები!

## ზრდასრული „პატარებისთვის"...

თურმე, დანიის ქალაქ ორხუსის მუზეუმის თანამშრომლებმა მოიფიქრეს და გახსნეს უჩვეულო კაფე — „კაფე-ექსპონატი". ამ კაფეში, რომელიც მუზეუმთან მოქმედებს, ყველა საგანი (ავეჯი, ჭურჭელი) იმდენჯერაა გადიდებული, რომ უფროსები დაფიქრდნენ — როგორ გრძნობენ თავს ბავშვები მათ სამყაროში? რასაკვირველია, ეს არცთუ კომფორტულად გამოიყურება, რადგან ყველაფერი შეუსაბამოდ, მეტისმეტად უზომოა, მძიმე და მაღალი. სწორედ იმისთვის, რომ დედები და მამები ცოტა ხნით მაინც აღმოჩნდნენ თავისი შვილების „როლში" და საკუთარ ტყავზე გამოსცადონ, რამდენად სასიამოვნოა ასეთი ცხოვრება.



## მოტოციკლეტი თუ შტანგოციკლეტი?



თურმე, იაპონიაში მოტო[ცი]კლეტის მართვის უფლებას ა[ძლ]ევენ მხოლოდ იმას, ვინც თა[ვად] მიწაზე დაწვენილი მოტოცი[კლე]ტის ვერტიკალურ მდგომარე[ობა]ში დაყენებას დამოუკიდე[ბლად,] სხვის დაუხმარებლად მოახერ[ხებს.] ნუ გაგიკვირდებათ, საქმ[ე ის] არის, რომ იაპონიაში ზოგი[ერთი] ფირმა უშვებს უზარმაზარ, [ძალ]ძლიერ მოტოციკლეტებს, მო[ტო]ციკლეტ-მონსტრებს, რომ[ელთა] წონა აღწევს 250 კილოგრამ[ს.] როგორმე რომ შეზღუდო[ს] უაზრო მოდა (რაც უფრო ძ[ლიე]რია მოტოციკლეტი, მით უ[ფრო] პრესტიჟულად ითვლება!), [იაპო]ნიის პოლიციამ ასეთ გონე[ბამახ]ვილურ ხერხს მიმართა.

## უარი ქვეყნის თვალობას?!

თურმე, შვეიცარიის საზ[ოგა]დოებრივი აზრის შემსწავლ[ელმა] ინსტიტუტმა ჩაატარა გამო[კითხ]ვა: ქალების დიდ ჯგუფს შ[ეე]ვაზა, ეპასუხათ ერთადერთ [კითხ]ვაზე — „ხელმეორედ რომ მ[ოგი]ძლოთ დაბადება, რას ისურ[ვებ]დით, მამაკაცად დაბადებას [თუ] ისევ ქალად?" აღმოჩნდა, [რომ] გამოკითხულთა მხოლოდ 65 პ[რო]ცენტია კმაყოფილი იმით, [რომ] ქვეყნიერებას ქალად მოევლ[ინა].

## უშენოდ, მათემატიკავ!..

თურმე, „დღე მათემატ[იკის] გარეშე" ჩაატარეს ამერიკის [პა]ტარა ქალაქ ტუსონის ერთ [სკო]ლაში. მოსწავლეებსა და მას[წავ]ლებლებს იმ დღეს აეკრძალ[ათ] ნებისმიერი თვლა-ანგარიში, [სა]თისა და კალენდრის ხმარება, [და] საერთოდ, ციფრების რამენა[ირი] გამოყენება. ამ ექსპერიმენ[ტმა] ყველას ნათლად დაანახა, რამ[დე]ნად აუცილებელია მათემატი[კა.] უკლებლივ ყველა მოსწავლე, მ[ათ] შორის ისინიც, ვ[ინც] არ სწყალობდა მა[თე]მატიკას, უკვე ორი[ოდე] საათის შემდეგ დ[არ]მუნდა — მათემატი[კის] გარეშე ცხოვრე[ბა] უძლებელია!



## კროსვორდი

თარაზულად: 7. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 8. აქილევსის სუსტი ადგილი; 9. ინგლისელი კოლონიზატორების მეტსახელი; 10. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი; 11. შავი ფიბა; 12. მდინარე საქართველოში; 17. პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყოფილი კანდიდატი რუსეთში; 18. ჭკუა, გონი; 19. მესამე პირის ნაცვალსახელი; 20. ჰერმეტულად დახურული წამლის პატარა მინის შუშა; 22. ქართველ მეფეთა სახელი; 24. ცნობილი პოლონელი მწერალი, რომან „ჯვაროსნების" ავტორი; 25. სახელგანთქმული საოპერო მომღერალი ქალი; 28. დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 34. თონეში გამომცხვარი თხელი პური; 35. ტიტულოვანი ჰოლანდიური საფეხბურთო კლუბი; 36. სახელმწიფო ევროპაში; 37. სახელმწიფო აფრიკაში; 38. ცნობიერების დაბინდვა, რომლის დროსაც ადამიანი ავტომატურად ასრულებს რაიმე მოქმედებას; 41. დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალის" პერსონაჟი; 42. ყოველმხრივი გარჩევა, გაანგარიშება, განხილვა; 47. არაბული წარმოშობის ფრანგი ფეხბურთელი, ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის მონაწილე; 48. რაიმეს დასამტკიცებლად ისტორიული მაგალითის მოშველიება; 49. რუსეთის ჩემპიონი ფეხბურთში; 52. ერთ-ერთი კონტინენტი; 54. დაკოდილი ცხენი, იაბო; 56. კ. გამსახურდიას ნოველა; 57. ხის პატარა მწვანე ბაყაყი; 58. ინდივიდუალური საკუთარი მანერა; 59. სოფელი რაჭაში; 60. ნადირობის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 61. საოჯახო ნივთი; 62. სიცხე, ბუღი, პაპანაქება; 63. სასტუმრო.

შვეულად: 1. რძის შედედებით მიღებული ცხიმი; 2. მ. ჯავახიშვილის მოთხრობა; 3. ცუდი და თხელი თმა; 4. ღომში მოხარშული და გაზელილი სულგუნი; 5. ქართული ანეკდოტების პერსონაჟი; 6. სულთმობრძავის მდგომარეობა, სიცოცხლის უკანასკნელი წუთები; 13. სახელდახელოდ თქმული ლექსი, ექსპრომტი; 14. ტყის დიდი გარეული ხარი; 15. უცხოური მსუბუქი ავტომობილის მარკა; 16. მრავალსერიანი ფილმის „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" მთავარი გმირი; 21. „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი"; 23. ქალაქი [illegible] საგრაფო ინგლისში; 25. მოზრდილი სახმისი; 26. ხორვატიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე; 27. აშშ-ს პრეზიდენტი XIX ს. დასაწყისში; 28. მითიური ურჩხული ქალი, რომლის ხილვა მოკვდავთ ზარავდა ან ქვად აქცევდა; 29. რძის ნაწარმი; 30. ხელოვნების დარგში ისტორიულად ჩამოყალიბებული დაყოფა; 31. ბიბლიური ადამისა და ევას ერთ-ერთი ვა[ჟი]; 32. ცილინდრული ფორმის დიდი ჭურჭელი; 33. მდედრობითი სქესის მიმანიშნებელი სიტყვა; 39. თბილისის ერთ-ერთი რაიონი; 40. მა[illegible], გამბედავი, უშიშარი; 41. შხამიანი გველი; 43. სითხე, რომლის მეშვეობითაც ხდება ნივთიერებათა ცვლა სისხლსა და ქსოვილებს შორის; 44. ფრანგი საესტრადო მომღერალი ქალი; 46. დრამატული წარმოდგენის ერთ-ერთი სახე, მსუბუქი კომედია; 48. ზოგიერთი ბა[illegible]ის კაუჭიანი ეკლით შემოსილი ნაყოფი; 50. მთიდან სპეციალური ტრასით ჩქაროსნული დაშვება; 51. ხელის ან ბაწრის ძალიან თხელი ქს[illegible]; 53. ბულგარული წარმოების ლუდი; 55. ვაჟა-ფშაველას ლექსი; 56. აღმოსავლური ორთაბრძოლა; 57. სურნელოვანი [illegible]ებელი.

შეადგინა ბ. მირიანაშვილმა



რედაქტორ-გამომცემლები
პაატა მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი
დამკაბადონებელი თამაზ ჩხაიძე
მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელ: 29-48-05, ფაქსი 23-52-12